

სახელმძღვანელო
ქალების, მშვიდობისა
და უსაფრთხოების შესახებ
რეზოლუციების განხორციელება
უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში

მეგან ბასტიკი და დენიელ დე ტორესი



სახელმძღვანელო
ქალების, მშვიდობისა
და უსაფრთხოების შესახებ
რეზოლუციების განხორციელება
უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში

მეგან ბასტივი და დენიელ დე ტორესი



Geneva Centre for the
Democratic Control of
Armed Forces (DCAF)

ავტორების შესახებ

მეგან ბასტიკი შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრის (DCAF) (შემდგომში „ფენევის ცენტრი“) გენდერისა და უსაფრთხოების პროგრამის მენეჯერ-თანამშრომელია. იგი მონაწილეობდა ფენევის ცენტრის კვლევით და შემეცნებით სამუშაოში ქალთა მიმართ ძალადობისა და შეიარაღებულ კონფლიქტებში სექსუალური ძალადობის შესახებ, და ასევე ხელმძღვანელობდა გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოსა და ტრენინგ-რესურსების პაკეტის შემუშავების პროცესს. მეგან ბასტიკი წარსულში იურისტად მუშაობდა გაეროს ადამიანის უფლებებისა და ლტოლვილთა პროგრამის კვაკერების ბიუროში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებში ავსტრალიის წითელი ჯვრის ოფიცერი იყო. მეგან ბასტიკს მიღებული აქვს ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და იურიდიული მეცნიერებების ბაკალავრის დიპლომი და კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრის დიპლომი.

დენიელ დე ტორესი ფენევის ცენტრის სპეციალური პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილეა და ფენევის ცენტრის გენდერისა და უსაფრთხოების პროგრამების ხელმძღვანელობს. ფენევის ცენტრთან თანამშრომლობამდე დენიელ დე ტორესი კოლუმბიის ფედერალურ ოლქში, ვაშინგტონში ბაზირებული კრძო ფონდის „ინკლუზიური უსაფრთხოების ინიციატივა“ კვლევითი და საგანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობის კოორდინატორი იყო. მისი კარიერის მანძილზე დენიელ დე ტორესს გენდერისა და უსაფრთხოების საკითხებზე არაერთი ტრენინგი აქვს ჩატარებული სამხედრო და პოლიციური პერსონალის, პროკურორების, მოსამართლეების, პარლამენტარებისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სხვა მონაწილეებისათვის. დენიელ დე ტორესს მიღებული აქვს ვირჯინიის შტატის ჯორჯ მენსონის უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი ისტორიასა და ეკონომიკურ მეცნიერებებში და ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო განვითარების საკითხებში.

მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე დოკუმენტს შედგენისას მნიშვნელოვანი შენიშვნებისა და კომენტარებისათვის გვინდა მადლობა მოვახსენოთ პაპელა აალს, ქორი ბარს, ჯენი ბარის, კარმელა ბილერს, სუკ ჩუნს, ანი კოლექციანს, სემ კუკს, ანია ენითოტერს, შერილ ჰენდრიქსს, ჰელგა ჰერნესს, ლორენ ჰიუტონს, მარლოტ ისაკსონს, სოფია ივარონს, კარიმ გრიმს, მარგარეტ ჯეიკობს, ჰილდე კლემეტსდალს, ტოიკო ტინონსონ კლემესს, თეოდორა კრუმოვას, კეთლინ კოუნასტს, კატარინა ლეინონენს, ილია ლუჩიას, სესილია მამოტას, ქელი მადელს, ჯულიეტ ვერე-ოგუტის, ანსილა ადრიან პოლს, ალმა ვივი-ანა პერესს, ლენა პეტერსონს, ნიკოლა პოპოვიჩს, კატრინ კვესადას, კოლეთ რაუშს, მედლინ რისს, ოდრი რიგსს, ენ-ჯანეტ როსგას, ჰითერ სენსიბოს, ჯოლინ შუმეიქერს, ტარა სონენშაინს, სანე ტილმანს, ანე-კრისტინ ტრეიბერს, ტორუნ ტრიგესტადს და რისტინ ვალასესს.

ასევე გვინდა განსაკუთრებული მადლობა მოვახსენოთ ბენ ბუქლანდს, ანა დანგოვასა და ანკა სტერის კვლევისა და რედაქტირების პროცესში მათ მიერ გაწეული შეუფასებელი დახმარებისათვის.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელების წინამდებარე პრაქტიკური მითითება გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს ნაწილს წარმოადგენს. მისი მიზანია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერული საკითხების შესახებ პრაქტიკოსებისა და პოლიტიკოსების შემქმნელებისათვის პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება. სახელმძღვანელო შედგება 13 დოკუმენტისა და შესაბამის პრაქტიკულ მითითებებს მოიცავს:

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის სისტემის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის სისტემის რეფორმა და გენდერი
4. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო მუდამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო სამოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის მუდამხედველობა და გენდერი
10. კრძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის
13. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში

დანართი: საერთაშორისო და რეგიონული საკანონმდებლო აქტები და დოკუმენტები

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრი (DCAF) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (UN-INSTRAW) მადლიერებას გამოხატავენ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნისათვის. აღნიშნული უბილიკაცია არ იარსებებდა კანადის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტისა და გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

DCAF

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრი (DCAF) კარგ მმართველობასა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის უწყობს ხელს. ცენტრი იკვლევს არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, ხელს უწყობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბებას, ქმნის რეკომენდაციებს პოლიტიკოს სფეროში და ქვეყნებს სთავაზობს რჩევებს და დახმარების სხვადასხვა პროგრამას. DCAF-ს პარტნიორული ურთიერთობები აქვს მთავრობებთან, პარლამენტებთან, სამოქალაქო სამოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უსაფრთხოების სექტორის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორცაა პოლიცია, სასამართლო, სადამხვერვო სამსახურები, საზღვრის დაცვის სამსახურები და სამხედრო ძალები.

UN-INSTRAW

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (UN-INSTRAW, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ნაწილი) მიზანია კვლევითი პროგრამების შემუშავება ქალთა გასაძლიერებლად და მსოფლიოს მასშტაბით გენდერული თანასწორობის მისაღწევად. გაეროს წევრ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აკადემიურ დაწესებულებებთან, სამოქალაქო სამოგადოებასა და სხვა მხარეებთან დამყარებული კავშირებისა და პარტნიორობის გზით ინსტიტუტი:

- გენდერული პერსპექტივიდან ახორციელებს ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას, რასაც კონკრეტული ზეგავლენა აქვს პოლიტიკაზე, პროგრამებსა და პროექტებზე;
- აძლიერებს კავშირებს ცოდნის მართვისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- აძლიერებს ძირითადი პარტნიორების შესაძლებლობებს პოლიტიკაში, პროგრამებსა თუ პროექტებში გენდერული ასპექტების ინტეგრაციის მიზნით.

ყდაზე გამოყენებული ფოტო: გაეროს ფოტო, 2009. გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრა, რომელზეც საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია №1888. ამ რეზოლუციამიკიდევ ერთხელ გააფიქრდა მოთხოვნა, დაუყოვნებლივ და სრულად იქნეს აღკვეთილი შეიარაღებულ კონფლიქტებში სექსუალური ძალადობის აქტები.

© DCAF, 2010. ყველა უფლება დაცულია.
ISBN 978-92-9222-130-0

ციტირება: მეგან ბასტიკი და დენიელ დე ტორესი. „უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება“. გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო. რედაქტორები: მეგან ბასტიკი და კრისტინ ვალასევი. ფენევა: DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW, 2010.

დაბეჭდილია კუნდიგის რეგიონული ოფისის მიერ.

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| აბრევიატურები | iv |
| 1. შესავალი | 1 |
| 2. რას ნიშნავს უსაფრთხოების სექტორის რეფორმა? | 2 |
| 2.1 უსაფრთხოების სექტორის რეფორმა..... | 2 |
| 2.2 რატომ ქალები და გოგონები?..... | 3 |
| 3. რას წარმოადგენს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები? | 3 |
| 3.1 მიმოხილვა | 3 |
| 3.2 რას ნიშნავს გავროს წვერი ქვეყნებისათვის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები?..... | 4 |
| 4. როგორ შეიძლება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესში? | 4 |
| 4.1 ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში | 5 |
| 4.2 უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში ქალთა მონაწილეობის გზით | 9 |
| 4.3 თავდაცვის სისტემის რეფორმის პროცესში | 11 |
| 4.4 პოლიციის სისტემის რეფორმის პროცესში | 15 |
| 4.5 გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა | 19 |
| 4.6 მომზადება სამშვიდობო მისიებში პერსონალის გაგზავნამდე | 22 |
| 4.7 შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული ქვეყნები | 25 |
| 5. ძირითადი რეკომენდაციები | 28 |
| 6. დამატებითი წყაროები | 29 |

აბრევიატურები

| | | |
|------------|---|---|
| AU | African Union | აფრიკის კავშირი |
| CEDAW | Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (1979) | კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (1979) |
| CSO | Civil Society Organisation | სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია |
| DCAF | Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces | შვიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრი |
| DDR | Disarmament, Demobilisation and Reintegration | განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია |
| DPKO | UN Department for Peacekeeping Operations | სამშვიდობო ოპერაციების გაეროს დეპარტამენტი |
| DRC | Democratic Republic of the Congo | კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა |
| ESDP | European Security and Defence Policy | ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა |
| EU | European Union | ევროკავშირი |
| FSU | Family Support Unit | ოჯახის დახმარების ერთეული |
| GBV | Gender-Based Violence | გენდერული ძალადობა |
| IDP | Internally Displaced Person | იძულებით გადაადგილებული პირი |
| M&E | Monitoring and evaluation | მონიტორინგი და შეფასება |
| NAP | National Action Plan | ეროვნული სამოქმედო გეგმა |
| NATO | North Atlantic Treaty Organisation | ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) |
| NGO | Non-Governmental Organisation | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| OSCE | Organization for Security and Cooperation in Europe | ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია |
| OSCE/ODIHR | Organization for Security and Cooperation in Europe Office for Democratic Institutions and Human Rights | ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი |
| SCR | United Nations Security Council Resolution | გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (შემდგომში – „რეზოლუცია“) |
| SSR | Security Sector Reform | უსაფრთხოების სექტორის რეფორმა |
| UN | United Nations | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) |
| UNFPA | United Nations Population Fund | გაეროს მოსახლეობის ფონდი |
| UNICEF | United Nations Children’s Fund | გაეროს ბავშვთა ფონდი |
| UNIFEM | United Nations Development Fund for Women | გაეროს ქალთა ორგანიზაცია |
| UN-INSTRAW | United Nations International Research and Training Institute for the Advancement of Women | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი |

სახელმძღვანელო ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში

1 შესავალი

„ქალთა უფრო მეტად გაძლიერება და მათი უფრო ემედიოთი დაცვა იმ საფრთხეებისაგან, რაც მათ შეიარაღებულ კონფლიქტებში ემუქრებათ, სასარგებლოა არა მხოლოდ ქალებისათვის, არამედ ყველასათვის. ჩემი ამრით, ეს 21-ე საუკუნის უსაფრთხოების გამოწვევებისადმი მასშტაბური მიდგომის უმთავრესი კომპონენტია. გაეროს უშიშროების საბჭოს გარდამტეხი №1325 რეზოლუციიდან ერთი ათწლეულის შემდეგ მე დაიმედებული და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უკვე შეგვიძლია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა.“

ანდერს ფოგ რასმუსენი,
ნატოს გენერალური მდივანი¹

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაეროს უშიშროების საბჭომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ოთხი რეზოლუცია მიიღო. ეს რეზოლუციები ყურადღებას ამახვილებს შეიარაღებული კონფლიქტების განსაკუთრებულ ზეგავლენასა და შედეგებს ქალებსა და გოგონებზე. ეს რეზოლუციები ასევე შეიცავს გარკვეულ მითითებებს სახელმწიფოების, რეგიონული ორგანიზაციების, გაეროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა გათვალისწინებული იქნეს ქალთა და გოგონათა საჭიროებები შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას და მათი დასრულების შემდეგ და ხელი შეეწყოს მათ გაძლიერებას. რეზოლუციები მოუწოდებს სახელმწიფოებსა და გაეროს სააგენტოებს, უზრუნველყონ ქალებისა და მათი საჭიროებების სრულყოფილი ჩართვა მშვიდობის შენების პროცესში და საგანგებოდ აღნიშნავს კონფლიქტების მიმდინარეობაში ქალთა და გოგონათა სექსუალური ძალადობისაგან დაცვის აუცილებლობას.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე:

| |
|--------------------------|
| 2000 წლის 1325 რეზოლუცია |
| 2008 წლის 1820 რეზოლუცია |
| 2009 წლის 1888 რეზოლუცია |
| 2009 წლის 1889 რეზოლუცია |

წინამდებარე პრაქტიკული მითითება აანალიზებს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მიღებული ოთხი რეზოლუციის ზეგავლენას უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესზე. დოკუმენტში გადმოცემულია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის, უსაფრთხოების სექტორის რეფორმისა და სამხედრო, პოლიციურ და მართლმსაჯულების სფეროებში რეფორმის პროცესებში აღნიშნული რეზოლუციების განხორციელების გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა. დოკუმენტში ასევე ნაჩვენებია, თუ როგორ შეუწყვეს ხელი საერთაშორისო და რეგიონულმა ორგანიზაციებმა ამ სფეროებში რეზოლუციების განხორციელებას.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია:

- სამთავრობო და უსაფრთხოების სექტორის უწყებების იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოების სექტორში ცვლილებების ინიცირებაზე;
- უსაფრთხოების სექტორის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პარლამენტარებისათვის;
- უსაფრთხოების სექტორში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის;
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესის ხელშეწყობი დონორი სააგენტოების თანამშრომელთათვის;
- რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სააგენტოების იმ თანამშრომელთათვის, რომლებსაც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების ეროვნულ დონეზე განხორციელებაში დახმარების განევა შეუძლიათ.

აღნიშნული პრაქტიკული მითითება გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს მეცამეტე მითითებას წარმოადგენს, და იგი 2008 წელს გამოიცა, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრის (DCAF), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტის (UN-INSTRAW) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სააგენტოს (OSCE/ODIHR) მიერ.

წინამდებარე მითითებაში თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციებში გამოყენებული ტერმინოლოგია. უსაფრთხოების სექტორში მოქმედი უწყებებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, დოკუმენტმა ზუსტი მითითება გააკეთოს რეზოლუციების იმ დებულებებზე, რომლებზე კონკრეტული რეაგირებაც არის საჭირო. როგორც ასეთი, წინამდებარე პრაქტიკული მითითება არ მოიცავს იმ ქმედებათა სრულყოფილ სიას, რომლებიც რეზოლუციების ეფექტიანად განხორციელებისათვის არის აუცილებელი. გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს სხვა პრაქტიკული მითითებები მოიცავს დეტალურსა და მასშტაბურ განხილვას, თუ რა გზებით უნდა მოხდეს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შეტანა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის დღის წესრიგში.

ამას გარდა, წინა თორმეტი პრაქტიკური მითითებისაგან განსხვავებით, წინამდებარე პრაქტიკული მითითება უცვლელად ტოვებს რეზოლუციების ტექსტს და მასში კონკრეტულად არის გამოყენებული ტერმინი „ქალები და გოგონები“, და არა „გენდერი“. ამგვარად, დოკუმენტი არ შეეხება მამაკაცების, ბიჭების, გვეების, ბისესუალებისა და ტრანსსექსუალი მოსახლეობის განსაკუთრებულ საჭიროებებსა და ფუნქციებს უსაფრთხოების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები ძალზე მნიშვნელოვანია, დოკუმენტში ასევე არ არის გაანალიზებული მასკულინიზმისა და ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერის ინტეგრირების მნიშვნელობისა და გზების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პრაქტიკური მითითება „უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“ (Security Sector Reform and Gender) და სახელმძღვანელოს სხვა ნაწილები.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის სისტემის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის სისტემის რეფორმა და გენდერი
4. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის
13. ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში

სახელმძღვანელო და მისი სხვადასხვა ენაზე თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.dcaf.ch/gssrtoolkit/>

წინამდებარე პრაქტიკული მითითება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესავალი
- ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს ოთხი რეზოლუციის მიმოხილვა
- ოთხი რეზოლუციის ძირითადი ნაწილების შემდეგ პროცესებში განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევები:
 - უსაფრთხოების სექტორის რეფორმისა და ეროვნული უშიშროების პოლიტიკა
 - ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში
 - თავდაცვის რეფორმა
 - პოლიციის რეფორმა
 - გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სფეროს რეფორმა
 - სამშვიდობო მისიებში ჩართული პერსონალის მომზადება
 - შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციები
- ძირითადი რეკომენდაციები
- დამატებითი წყაროები

2 რას ნიშნავს უსაფრთხოების სექტორის რეფორმა?

2.1 უსაფრთხოების სექტორის რეფორმა

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა არის პროცესი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე უწყებებისა და ადამიანების მიერ:

- უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ეფექტიანი და წარმატებული, ადამიანების საჭიროებებზე მორგებული მომსახურების შეთავაზება
- სახელმწიფოსა და მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულება
- დემოკრატიული მმართველობის პირობებში დისკრიმინაციის გარეშე და ადამიანის უფლებების დაცვითა და სამართლის უზენაესობის სრული აღიარებით მოქმედება²

არსებობს ამრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიცავს „უსაფრთხოების სექტორი“. გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო უსაფრთხოების სექტორს მასშტაბურად განიხილავს და მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს ყველა სახელმწიფო თუ სხვა უწყებას, რომელთა ფუნქციას სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით:

- შეიარაღებული ძალები
- სამართალდამცველი და სადაზვერვო სამსახურები
- საზღვრის მართვასა და საბაჟო მომსახურებაზე პასუხისმგებელი უწყებები
- მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების უწყებები
- უსაფრთხოების შემუშავებისა და განხორციელების პროცესების მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციის მქონე უწყებები, როგორცაა სამინისტროები, პარლამენტები, ომბუდსმენები, ადამიანის უფლებათა კომისიონერები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

უსაფრთხოების სექტორის ნაწილად შეიძლება მოიაზრებოდნენ ასევე არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული ჯგუფები, რიგითი ან არაფორმალური უწყებები და უსაფრთხოების კერძო სამსახურები.

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესები ისეთ განვითარებულ ან განვითარებად ქვეყნებშიც მიმდინარეობს, სადაც კონფლიქტები არ აღინიშნება, ამ პროცესების შედეგები, როგორც წესი, კონფლიქტის შემდგომი სიტუაციის მქონე და განვითარებად ქვეყნებზე გაცილებით მეტად აისახება. უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება განსაკუთრებით სასარგებლო მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მრავალსაფეხტიანი ოპერაციებისათვის აღმოჩნდა, რაც გულისხმობს უსაფრთხოების მართვის გამოწვევების მიმართ ერთიანი ჩარხოსა და მიდგომების გამოყენებას. აღნიშნულ კონტექსტში უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მჭიდრო კავშირშია ისეთ ქმედებებთან, როგორცაა განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია, მცირე კალიბრის იარაღის კონტროლი და გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება.³

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერის ინტეგრირების მნიშვნელობისა და გზების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პრაქტიკური მითითება „უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“ (*Security Sector Reform and Gender*) და სახელმძღვანელოს სხვა ნაწილები.

2.2 რატომ ქალები და გოგონები?

ნებისმიერ კონტექსტსა და სიტუაციაში ქალები, მამაკაცები, გოგონები და ბიჭები სხვადასხვაგვარად განიცდიან დაუცველობას, უსაფრთხოების სფეროს უწყებებთან ისინი სხვადასხვაგვარად ურთიერთობენ და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზეც სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. ეს განსხვავებები მათ განსხვავებულ გენდერს – ქალი, მამაკაცი, გოგონა ან ბიჭი - უკავშირდება. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკის ჩარჩოს განვითარებასთან ერთად განმტკიცდა შეხედულება, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტია უსაფრთხოების გენდერული განზომილებების აღიარება, ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების განსხვავებულ საჭიროებათა გათვალისწინება და გადამწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის გაეროს 10 ძირითადი პრინციპის თანახმად:

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ნებისმიერ ფაზაში – დაგეგმვისას, შემუშავებისას, განხორციელებისას, მონიტორინგისა თუ შეფასებისას - უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ფაქტორს. ის ასევე უნდა მოიცავდეს კადრების პოლიტიკის რეფორმას და უსაფრთხოების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას სექსუალურ და გენდერულ ძალადობაზე რეაგირების და მისი პრევენციის მიზნით.⁴

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ქალების, მამაკაცების, ბიჭებისა და გოგონების მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შედეგებით თანაბარი სარგებლობა, აუცილებელია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერული ასპექტების სრული ინტეგრაცია. ეს აბსოლუტურად აუცილებელია ადგილობრივად პასუხისმგებლობის აღების, უსაფრთხოების მომსახურების ეფექტიანად მიწოდების, ასევე ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისათვის. მიუხედავად ამისა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკა და პროგრამები მრავალ ქვეყანაში ჩავარდა, რადგანაც უზრუნველყოფილი ვერ იქნა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა გადამწყვეტილებების მიღების პროცესებში და უსაფრთხოების საჭიროებების, ფუნქციებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას შესაბამისად არ იქნა გაანალიზებული გენდერული დინამიკა. ასეთ შემთხვევებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებები ძალზე ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციის, ძალადობისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების ყველა წევრის უსაფრთხოებას და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

იქედან გამომდინარე, რომ ოთხივე რეზოლუცია აქცენტს არა გენდერზე, არამედ ქალებსა და გოგონებზე აკეთებს, იგივე სტრატეგია იქნება შენარჩუნებული ამ პრაქტიკულ მითითებაშიც. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „ქალები და გოგონები“ არ ქმნის ჰომოგენურ ჯგუფს: გენდერული განზომილება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული სხვა ისეთი სოციალური განზომილებებით, როგორცაა, მაგალითად, ასაკი, ეთნოსი, რელიგია და სექსუალური ორიენტაცია, რაც ზეგავლენას ახდენს ყოველი ინდივიდის მიერ უსაფრთხოების აღქმაზე.

გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის (Gender & SSR Toolkit) სახელმძღვანელოს სხვა პრაქტიკულ მითითებებში მოცემულია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში გენდერის ინტეგრაციის მრავალი რჩევა თუ მაგალითი.

3 რას წარმოადგენს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები?

3.1 მიმოხილვა

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს პირველი რეზოლუცია №1325 2000 წლის ოქტომბერში ერთხმად იქნა მიღებული. მომდევნო რეზოლუციები კიდევ უფრო განამტკიცებს №1325 რეზოლუციის კონკრეტულ ასპექტებს, განსაკუთრებით კი კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში გენდერული ძალადობის პრევენციისა და ძალადობისაგან დაცვის კუთხით, სექსუალური ძალადობის ჩათვლით. გაეროს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ქალებთან, მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შეყვანასა და რეზოლუციების მიღების პროცესში გადამწყვეტი როლი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურმა ჩართულობამ ითამაშა.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 (რეზოლუცია №1325) საგანგებოდ განსაზღვრავს იმ უარყოფით ზეგავლენას, რაც შეიარაღებულმა კონფლიქტმა შეიძლება იქონიოს ქალებზე, და აღიარებს ქალების უმნიშვნელოვანეს წვლილს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პროცესებში. რეზოლუცია №1325 მოუწოდებს კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაში გენდერული პერსპექტივების გათვალისწინების აუცილებლობას, ადგილობრივ დონეზე ქალთა სამშვიდობო ინიციატივებისა და ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის ჩათვლით; განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის გენდერულ ასპექტებს და მშვიდობისმყოფელთა ტრენინგებს გენდერის საკითხებში

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820 (რეზოლუცია №1820) მიღებული იქნა 2008 წლის ივნისში. რეზოლუცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს სპეციალური ზომების გატარებას შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალთა და გოგონათა სექსუალური ძალადობისაგან დასაცავად, მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და მსხვერპლთა დახმარებას. რეზოლუცია №1820 ყურადღებას ამახვილებს მშვიდობიან მოქალაქეთა დაცვაში მშვიდობისმყოფელთა როლზე და მოუწოდებს მდებარეობითი სქესის მშვიდობისმყოფელთა რაოდენობის გაზრდისაკენ. რეზოლუცია გაეროსაგან ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით მოითხოვს დემობილიზაციის, განიარაღებისა და რეინტეგრაციის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში ქალთა დაცვას.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1888 (რეზოლუცია №1888) მიღებული იქნა 2009 წლის სექტემბერში და ასევე ამახვილებს ყურადღებას სექსუალურ ძალადობაზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს. რეზოლუცია №1888 მოუწოდებს სამშვიდობო, ასევე დემობილიზაციის, განიარაღებისა და რეინტეგრაციის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში სექსუალური ძალადობის საკითხთა ჩართვისაკენ, ასევე დუსტაბილურობის სინდრომის აღმოსაფხვრელად მართლმსაჯულების რეფორმირებისა და გადარჩენილებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისაკენ. რეზოლუციის თანახმად, გაეროს შიგნით იქმნება კონფლიქტებისას სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების ახალი მექანიზმები, გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით. აქაც ასევე პრიორიტეტად არის დასახული მედიაციისა და გადამწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა წარმომადგენლობა და გაეროს მისიებში მდებარეობითი სქესის პერსონალის ჩართვა.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1889 (რეზოლუცია №1889) მიღებული იქნა 2009 წლის ოქტომბერში. №1889 რეზოლუციის თანახმად, საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია მშვიდობის შენების პროცესში ქალთა მონაწილეობაზე და ქალთა მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობაზე. რეზოლუცია მოუწოდებს კონფლიქტის შემდგომ რეაბილიტაციის ყველა პროცესში გენდერის ასპექტების გათვალისწინებისაკენ; ქალთა გაძლიერების აქტივობების დაფინანსებისა და პროგრამირებისაკენ; და ქალთა და გოგონათა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებისაკენ. რეზოლუცია ასევე აუცილებლად მიიჩნევს დემობილიზაციის, განიარაღებისა და რეინტეგრაციის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში შეიარაღებულ ჯგუფებთან/ძალებთან ასოცირებული ქალების საჭიროებებზე რეაგირებას.

3.2 რას ნიშნავს გაეროს წევრი ქვეყნებისათვის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები?

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არც ერთ რეზოლუციას არ გააჩნია სახელმწიფოთათვის სავალდებულო იურიდიული ძალა⁵. მიუხედავად იმისა, რომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები წარმოადგენს არასავალდებულო იურიდიული ძალის მქონე პოლიტიკის ჩარჩოს, ეს რეზოლუციები სახელმწიფოებს სთავაზობს საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე ნორმატიულ ინსტრუმენტს, რომელიც კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვისაკენ და სამშვიდობო პროცესებში ქალთა აქტიური მონაწილეობისა და გენდერული ასპექტების ჩართვისაკენ მოუწოდებს. უფრო მეტიც, რეზოლუციები სახელმწიფოებს ახსენებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა ვალდებულებას, მათ შორის მათ მიერ შემდეგი ინსტრუმენტების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს:

- 1949 წლის ჟენევის კონვენცია და 1977 წლის დამატებითი ოქმები
- 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენცია და 1967 წლის ოქმი
- 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და 1999 წლის ფაკულტატური ოქმი
- 1989 წლის გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ და 2000 წლის ფაკულტატური ოქმები
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი.

გარდა ამისა, რეზოლუციები შეახსენებს სახელმწიფოებს სხვა საერთაშორისო კუმანიტარული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს გენოციდთან, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთან, სამხედრო დანაშაულთან დაკავშირებით, ქალებისა და გოგონების მიმართ სექსუალური და სხვა სახის ძალადობის ჩათვლით. ასე რომ, სავალდებულო იურიდიული ძალის უქონლობის მიუხედავად, რეზოლუციები შეახსენებს სახელმწიფოებს შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალთა უფლებების დაცვასა და პროპაგანდირებასთან დაკავშირებით მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ამას გარდა, №1820 და №1888 რეზოლუციებში აღიარებულია, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში მომხდარ სექსუალური ძალადობის ფაქტებს შეუძლია „მნიშვნელოვანწილად გაამწვავოს შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციები და ხელი შეუშალოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას.“

№1325 და №1820 რეზოლუციები არ შეიცავს სახელმწიფოთა მხრიდან რეზოლუციების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმებს, გარდა გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშებისა და №1820 რეზოლუციის ფარგლებში შექმნილი სამოქალაქო პირთა დაცვის საკითხებზე მომუშავე უშიშროების საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის ყოველთვიური განხილვებისა. რეზოლუცია №1889 მოითხოვს, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა შეიმუშაოს გლობალური ინდიკატორები №1325 რეზოლუციის განხორციელების მონიტორინგისათვის, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ანგარიშგების ფორმად არა მხოლოდ გაეროს ფარგლებში, არამედ სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მიერაც (ეს დისკუსია კიდევ უფრო დეტალურადაა მოცემული 4.1 ქვეთავში).

სახელმწიფოები მათ მიერ CEDAW კომიტეტისათვის წარსადგენ ანგარიშებში რეგულარულად წარადგენენ ინფორმაციას №1325 რეზოლუციის განხორციელების შესახებ. CEDAW კომიტეტს „დასკვნითი დაკვირვებების“ მეშვეობით არაერთხელ მოუწოდებია წევრი სახელმწიფოებისათვის, გაეტარებინათ კონკრეტული ღონისძიებები №1325 და №1820 რეზოლუციების განხორციელების მიზნით, რეზოლუცია 1325-ის განხორციელებისათვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ჩათვლით.⁶ აღნიშნული პრაქტიკა ნათლად ცხადყოფს, რომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციებში განსაზღვრული ვალდებულებები სახელმწიფოებისა და იურიდიული დარგის ექსპერტების მიერ CEDAW კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ტოლფას ვალდებულებებად აღიქმება.

4 როგორ შეიძლება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელება უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესში?

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ოთხივე რეზოლუციაში საგანგებოდ არის აღნიშნული ქალთა ძალადობისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების სექტორის მიერ უფრო მეტი რეაგირების საჭიროება. მაშინ, როდესაც უსაფრთხოების სექტორში ხორციელდება რეფორმის ან ტრანსფორმაციის პროცესი, შეიძლება უფრო ადვილი გახდეს მისი ინსტიტუციების მიერ ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად ცვლილებების განხორციელება. რეზოლუციებში განსაზღვრული პრინციპები კარგად თავსდება უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული რეფორმის ტრადიციულ გაგებაში, რაც გულისხმობს ერთიან, ინტეგრირებულ, ფოკუსირებულ და ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე მორგებულ პროცესებს, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს უსაფრთხოების უზრუნველყოფი ლეგიტიმური და ანგარიშვალდებული უწყებების შექმნას.

ამ თავში წარმოდგენილია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერულად მგრძობიარე უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვისა და ქალთა მონაწილეობის გაზრდის გზით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ძირითადი საფუძვლების ანალიზი. ამას გარდა, აქვე განხილულია რეზოლუციების განხორციელება ხუთ სხვადასხვა კონტექსტში, კერძოდ კი თავდაცვის რეფორმის, პოლიციის რეფორმის, გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულებისა და მართლმსაჯულების რეფორმის, სამშვიდობო ოპერაციებისა და შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში.

4.1 ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში

ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკა

უსაფრთხოების სექტორის სრულყოფილი რეფორმის განხორციელებისას, მაგალითად, მისი, როგორც კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის მშენებლობის ნაწილისა, რეფორმის პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს უსაფრთხოების სექტორის დარგთაშორისი რეფორმის პოლიტიკის ფარგლებში. უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა კომპონენტის რეფორმირებას თან სდევს სხვადასხვა პოლიტიკის გატარება (მაგალითად, პოლიციის ან თავდაცვის სფეროების რეფორმა). აღნიშნულ პროცესებში ზოგიერთი ქვეყანა ეროვნულ დონეზე შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკას. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია და ძალზე მნიშვნელოვანია ამ რეზოლუციებით განსაზღვრული ვალდებულებების ასახვა ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად შემუშავებულ უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში. რეზოლუციების ტექსტში საუბარი შეეხება ორივე საკითხს – პოლიტიკის შემუშავებასაც და თავად პოლიტიკის არსსაც. აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პრაქტიკული მითითება.

უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი.

პოლიტიკის განსაზღვრის პროცესი: აღნიშნულ ასპექტში რეზოლუციები მოუწოდებს პოლიტიკის განსაზღვრის ყველა დონეზე ქალთა თანაბარი და სრული მონაწილეობისკენ და გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევისკენ.

იხ. რეზოლუცია №1325 - მუხლები 1 და 8; რეზოლუცია №1888 - მუხლი. 16; რეზოლუცია №1889 - მუხლები 1 და 8

უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში როგორც მამაკაცთა, ისევე ქალთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ ამ პოლიტიკაში ზუსტად იქნეს განსაზღვრული უსაფრთხოების საფრთხეების შეფასება და უსაფრთხოების უზრუნველყოფი უწყებების მიერ ისინი სრულყოფილად იქნეს აღქმული. უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში ქალთა შეხედულებების ჩართვამ შეიძლება უსაფრთხოების სექტორის მიმართ ქალთა განსაკუთრებული მიდგომებისა გაგებასა და აღქმაში შევიწყოს ხელი. 4.2 თავში მოცემულია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში ქალთა მონაწილეობის პროპაგანდირების სტრატეგიები, რომელთა მხოლოდ ერთ ასპექტს წარმოადგენს პოლიტიკის განსაზღვრა.

პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევისთვის აუცილებელია პოლიტიკისა და სხვა შესაბამისი პროგრამების ქალებზე, მამაკაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე ზეგავლენის შეფასება ამ პროგრამების ციკლის ყოველ ეტაპზე. გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევა შეიძლება განხორციელდეს იქნეს გენდერის სპეციალური შეფასებით (იხილეთ პრაქტიკული მითითება უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი, ჩანართი 11) ან პოლიტიკის შეფასების ზოგად პროცესებში გენდერის ანალიზის გზით (იხილეთ ჩანართი 1). ამგვარი შეფასება უნდა განხორციელდეს თავად პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში და შემდგომში უკვე პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესშიც.

ჩანართი 1: უსაფრთხოების სექტორის რეფორმის გენდერული პერსპექტივიდან შეფასება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- სქესისა და ასაკის მიხედვით დანაწევრებული მონაცემები;
- მამაკაცებითა და ქალებით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ცოდნის მქონე პირებით და მდებარეობითი სქესის ადგილობრივი თარჯიმნებისაგან დაკომპლექტებული შეფასების ჯგუფები;
- ტექნიკური დავალება, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იქნება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მიზნებში, პროდუქტებსა და მეთოდოლოგიაში და ა.შ. გენდერული საკითხების გათვალისწინებაზე;
- უსაფრთხოების სექტორის უწყებებისა და საზემდამედველო ორგანიზაციების მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლებისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე პერსონალის გამოკითხვა;
- ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტების გამოკითხვა;
- უსაფრთხოების კუთხით ადგილობრივი საჭიროებების შესახებ გამოკითხვები და კვლევები, ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური პირადი გამოცდილების შესახებ დასმული შეკითხვების ჩათვლით;
- შეფასების მეთოდები და ლოგისტიკა, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს, მაგალითად, მხოლოდ ქალების, მხოლოდ მამაკაცების, მხოლოდ ბიჭების ან მხოლოდ გოგონების ფოკუსჯგუფები;

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების არსებული პოლიტიკის შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს.

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD DAC) უსაფრთხოების სისტემის რეფორმის სახელმძღვანელო, ნაწილი 9: გენდერის შესახებ ინფორმირებულობისა და გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია, პარიზი: 2009, 4.

წარმატებული გამოცდილება და მიღებული ცოდნა:

- პოლიტიკის დოკუმენტაციაში სპეციფიკური გენდერული ენის გამოყენება ხელს შეუწყობს მხოლოდ ერთ გენდერზე ორიენტირებისგან ან მამაკაცთა და ქალთა საჭიროებების შერწყმისაგან თავის არიდებას. მაგალითად, ირლანდიის თეთრი წიგნი თავდაცვის შესახებ (2000) (Ireland's White Paper on Defence) „შეიარაღებული ძალების“ პერსონალზე საუბრისას იყენებს ტერმინს „მამაკაცები და ქალები“. გარკვეულ კონტექსტში შეიძლება მისაღები იყოს ნეიტრალური გენდერული ენის გამოყენება, მაგალითად, „ხალხისა“ „კაცების/ქალების“ ნაცვლად, თუმცა ამ შემთხვევაში წარმოიშობა რისკი, რომ გათვალისწინებული ვერ იქნება ის ფაქტი, რომ რიგი საკითხებისა შეეხება და დამახასიათებელია მხოლოდ ქალებისათვის ან მამაკაცებისათვის.
- პოლიტიკის დოკუმენტში შეტანილი არადისკრიმინაციული განცხადებებით აღნიშნულმა დოკუმენტმა შეიძლება დადებითი ზეგავლენა მოახდინოს უსაფრთხოების სექტორის უწყებების სტრუქტურასა და პერსონალზე.

პოლიტიკის განსაზღვრაში ქალებისა და გოგონების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება და მათი როლი: რეზოლუციებში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ქალებისა და გოგონებისთვის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჭიროებები, პრიორიტეტები და მათი გაძლიერების სტრატეგიები.

იხ. რეზოლუცია №1325 - მუხლი 8; რეზოლუცია №1889 - მუხლები 9 და 10

ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების სიმრავლე უსაფრთხოების პოლიტიკაში ქალთა და გოგონათა უსაფრთხოების სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შეტანა ცხადყოფს, რომ უწყებებს ესმით, რომ აღნიშნული საკითხი მხოლოდ ქალთათვის კი არ არის საშიში და საგანგაშო, არამედ ის ემუქრება სოციალურ სტაბილურობას და უფრო მასშტაბური კონფლიქტების შესაძლო ინდიკატორს წარმოადგენს. ეს აღიარება შეიძლება მოიცავდეს ტრენინგების, სტანდარტული სამოქმედო პროცედურების, მონიტორინგისა და ქალთა და გოგონათა მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობის პრევენციისათვის სპეციალური პოლიტიკის შემუშავებას.

უსაფრთხოების პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ძალადობის საკითხებით, იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ქალთა და გოგონათათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, მათდამი მოპყრობას პენიტენციურ სისტემაში, უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში ჩართულობას და უსაფრთხოების სექტორში მათ მიერ შეტანილ არაფორმალურ წვლილს. უსაფრთხოების პოლიტიკას გააჩნია უსაფრთხოების სექტორის უწყებებში მამაკაცთა და ქალთა თანაბარი გაძლიერების პოტენციალი (იხილეთ ჩანართი 2). სწორედ ამ პოლიტიკამ შეიძლება უზრუნველყოს უსაფრთხოების სექტორის უწყებებში (იხილეთ თავები 4.3 და 4.4) და სამშვიდობო მისიებში (იხილეთ თავი 4.6) დასაქმებულ ქალთა რაოდენობის ზრდა.

ჩანართი 2: გენდერული საკითხების გათვალისწინება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში

სამხრეთ აფრიკამ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრველ სხვადასხვა დოკუმენტში გაითვალისწინა გენდერული საკითხები, მათ შორის გენდერული წარმომადგენლობა, დისკრიმინაცია, სექსუალური დანაშაულების ეთიკის კოდის და პრევენციის სტრატეგიები (1994 წლის თეთრი წიგნი დაზვერვის შესახებ, 1996 წლის თეთრი წიგნი ეროვნული თავდაცვის შესახებ, 1998 წლის თეთრი წიგნი უშიშროებისა და უსაფრთხოების შესახებ.

სადაზვერვო სამსახურისა და თავდაცვის ძალების დაკომპლექტების პოლიტიკაში გათვალისწინებულია გენდერული და რასობრივი ასპექტები.

სექსუალური ძალადობის საკითხები: ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები მოუწოდებს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში სექსუალური ძალადობის საკითხების ჩართვისაკენ და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკის ფარგლებში მათზე რეაგირებისაკენ.

იხ. რეზოლუცია №1888 - მუხლები 15 და 17

პოლიტიკის დონეზე სექსუალური ძალადობის განსაზღვრა უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედ და რისკად უსაფრთხოების ადევკატური რეაგირების მექანიზმების შექმნისა და ამოქმედების საფუძველს წარმოადგენს. ამას გარდა, სექსუალური ძალადობის ფაქტების სიმრავლისა და გეოგრაფიული კონცენტრაციის შესახებ მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნეს უსაფრთხოების შეფასებაში.⁷

წარმატებული გამოცდილების მაგალითები:

- სამხრეთ აფრიკის თეთრი წიგნი უშიშროებისა და უსაფრთხოების შესახებ პირდაპირ აღიარებს სექსუალური დანაშაულებისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობის აუცილებლობასა და საჭიროებას.
- №1325 რეზოლუციის განხორციელების ეროვნულ გეგმაში კოტ-დ'ივუარი (სპილოს ძვლის სანაპირო) პრიორიტეტულად მიიჩნევს ქალთა და გოგონათა დაცვას სექსუალური ძალადობისაგან, სასქესო ორგანოების დასახიჩრების ჩათვლით. ერთ-ერთი აქტივობა ამ მხრივ განსაზღვრულია, როგორც „ძირითადად სექსუალური ძალადობის ფაქტებზე მომუშავე სპეციალურად გაწვრთნილი პოლიციის დეპარტამენტის შექმნა“.

რეზოლუცია №1888 აღიარებს, რომ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად გატარებული ინიციატივები ასევე უნდა მოიცავდეს ადგილობრივი, ტრადიციული და რელიგიური ლიდერების ჩართვას. ადგილობრივი თემების მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციები, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების ლეგიტიმურობას, მეორეს მხრივ კი შესაძლებელი გახდება ადგილობრივ დონეზე მოსახლეობასთან გავლენიანი მამრობითი და მდედრობითი წინამძღოლების საშუალებით მუშაობა. მაგალითად, 2008 წელს რუანდაში გენდერული ძალადობის შესახებ კანონმდებლობის მიღების შემდეგ ძალზე ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც ხელი შეუწყო ამ კანონის ლეგიტიმაციას და მოსახლეობას გააცნო გენდერული ძალადობის არსი და პრობლემეტიკა, ასევე ამ პრობლემის იურიდიულად მოგვარების შესაძლებლობები.⁸

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განსახორციელებლად შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმები

ეროვნული სამოქმედო გეგმა პოლიტიკისა და სტრატეგიის დონეზე რეზოლუცია №1325-ში ჩამოყალიბებული ვალდებულებების ინტეგრაციის მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. ეროვნული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რასაც შესაბამისი ქვეყნის მთავრობა მოცემულ მომენტში დგამს, და იმ აქტივობებსა და ინიციატივებს, რასაც მთავრობა მომავალში, განსაზღვრულ ვადებში გადადგამს რეზოლუციაში განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად. ეროვნული სამოქმედო გეგმა ხელს უწყობს მთავრობის მიერ ქალებთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობების მასშტაბურობის, კოორდინირებულობის, ინფორმირებულობის, მონიტორინგისა და შეფასების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია №1325 კონკრეტულად არ მოუწოდებს სახელმწიფოებს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისაკენ, გაეროს გენერალური მდივანი რეგულარულად ავალდებდა სახელმწიფოებს ეროვნული სამოქმედო გეგმების დამტკიცებას.

წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მომენტისათვის რეზოლუცია №1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 21 ქვეყანას: ავსტრიას (2007), ბელგიას (2009), ბოსნიას და ჰერცეგოვინას (2010), ჩილეს (2009), კოტ-დ'ივუარს (სპილოს ძვლის სანაპირო) (2008), კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (2009), დანიას (2005), ფინეთს (2008), ისლანდიას (2008), ლიბერიას (2009), ნიდერლანდებს (2007), ნორვეგიას (2006), ფილიპინებს (2010), პორტუგალიას (2009), სიერა ლეონეს (2010), რუანდას (2009), ესპანეთს (2008), შვედეთს (2006), შვეიცარიას (2007), უგანდას (2008)

და გაერთიანებულ სამეფოს (2007). ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშია მრავალი სხვა სახელმწიფო.

რეზოლუცია №1325-ის განხორციელების ყველა სამოქმედო გეგმას სხვადასხვა მიდგომა გააჩნია და სხვადასხვა თემატურ სფეროს მოიცავს. ზოგადად ყველა მათგანი შეეხება გენდერული ძალადობის პრევენციას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების გაზრდილი წარმომადგენლობის მონაწილეობის აუცილებლობას, თუმცა განსხვავებები შეეხება მიდგომას, უნდა ჩაერიოს თუ არა ეროვნული სამოქმედო გეგმა ისეთ საკითხებში, როგორცაა დემობილიზაცია, განიარაღება და რეინტეგრაცია და ადგილობრივ ქალთა ჩართვა სამშვიდობო პროცესებში.⁹ ამავდროულად, დონორი ქვეყნების გეგმები სტრატეგიისა და ფოკუსირების კუთხით ხშირად მნიშვნელოვანწილად განსხვავდება კონფლიქტის შემდგომი ქვეყნების გეგმებისაგან.

ეცეს ქვეყანა (ავსტრია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბერია, ნიდერლანდები, ნორვეგია და შვედეთი) თავიანთ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ძალზე კონკრეტულად შეეხო სხვადასხვა სახის საქმიანობას უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ფარგლებში. მაგალითად, ნიდერლანდების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია რეკონსტრუქციის პროცესებში ქალთა როლისა და ფუნქციის ინსტიტუციონალიზაცია, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ფარგლებში შემდეგ აქტივობებს განსაზღვრავს:

- უსაფრთხოების სექტორში მოქმედ ყველა სახელმწიფო უწყებებში მეთი მდებრობითი სქესის თანამშრომლის დაშვება და ტრენინგი;
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ფარგლებში უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონტაქტების ხელშეწყობა, როგორც ქალებისათვის ყველა აქტივობაში ხმის უფლების მიცემის საშუალება;
- ქალებს, სამშვიდობო ორგანიზაციებსა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პრაქტიკოსებს შორის ინფორმაციის, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლიბერიის ეროვნული სამოქმედო გეგმები ნათელი მაგალითებია იმისა, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთან დაკავშირებული ინდიკატორების განსაზღვრა. მაგალითად, ლიბერიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად არის განსაზღვრული უსაფრთხოების სექტორის უწყებების ტრენინგი და რესურსების განვითარება, რაც ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების გაუმჯობესების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. მიღწეული პროგრესის შეფასების მიზნით ეროვნულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი ინდიკატორები:

- საზოგადოებისთვის და გენდერულ საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და ხარისხი;
- ტრენინგებში მონაწილე ქალთა რაოდენობა;
- ტრენინგების მიმდინარეობის პროცესში მონაწილეთა მიერ შევსებული შეფასების ფორმების ანალიზი;
- ლიბერიის ეროვნული პოლიციის პერსონალის ამაღლებული თვითმეცნება და ინფორმირებულობა მათი დაცვითი როლის შესახებ, რაც დასტურდება ქალთა და გოგონათა უფლებების დარღვევის შემთხვევებზე მათი უფრო სწრაფი რეაგირებით.¹⁰

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელების რეგიონული პოლიტიკა

იხ. რეზოლუცია №1820 - მუხლი 14; რეზოლუცია №1888 - მუხლი 16; რეზოლუცია №1889 - მუხლი 1

№1325 რეზოლუციის განხორციელების ხელშესაწყობად მრავალ რეგიონულ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ამ რეგიონული ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ რეზოლუციის ეროვნულ დონეზე განხორციელების წესებსა და პროცედურებს.

2004 წელს აფრიკის კავშირის სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელებმა მიიღეს *აფრიკაში გენდერული თანასწორობის საზეიმო დეკლარაცია*, სადაც, №1325 რეზოლუციაში განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, გამოხატული იყო სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის აფრიკაში კონფლიქტების პრევენციის, მოგვარების, მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესებში, ქალთა სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სრული მზადყოფნა. საზეიმო დეკლარაციის *განხორციელების ჩარჩო დოკუმენტი* განსაზღვრავს მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის ინდიკატორებს. აფრიკის კავშირის 2009 წლის *გენდერული პოლიტიკაში* №1325 რეზოლუციისთვის კვლავაც დიდი ყურადღებაა დათმობილი. აფრიკის კავშირის ინსტიტუციები, რეგიონული ეკონომიკური თანამეგობრობები და აფრიკის კავშირის წევრი ქვეყნები თანხმდებიან შემდეგზე: „გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და №1820 რეზოლუციების შესაბამისად ინტეგრირებული იქნეს გენდერული ასპექტები კონფლიქტებთან და მშვიდობის შენებასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში, პროგრამებსა და აქტივობებში“. *გენდერული პოლიტიკა* ასევე განსაზღვრავს №1325 რეზოლუციის განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს.

ევროკავშირმა შეიმუშავა რეზოლუციების განხორციელების ნორმატიული ჩარჩო. 2008 წლის დეკემბერში ევროკავშირის საბჭომ და ევროკომისიამ მიიღეს ერთობლივი დოკუმენტი სათაურით *ევროკავშირის მიერ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და №1820 რეზოლუციების განხორციელების ერთიანი მიდგომა*. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია გენდერის შესახებ არსებული პოლიტიკისა და გამოცდილების მიმოხილვა და განსაზღვრულია სხვადასხვა სფეროში გასატარებელი კონკრეტული ზომები, როგორცაა ტრენინგი, ინფორმაციის გაცემა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, სექტორულ საქმიანობებში ინტეგრირება (დემობილიზაცია, განიარაღება და რეინტეგრაცია, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, მმართველობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, განათლება, ჰუმანიტარული დახმარება), სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (გაეროს ჩათვლით) და მონიტორინგი და ანგარიშგება. დოკუმენტი განსაზღვრავს კონფლიქტურ სიტუაციებსა და გენდერული თანასწორობის მიღწევაზე ორიენტირებული გრძელვადიანი განვითარების თანამშრომლობის პროგრამებში ქალთა დაცვის, მხარდაჭერისა და გაძლიერების სამეტაპიან მიდგომას.¹¹ ამას გარდა, ევროკავშირის საბჭოს სამდივნომ გამოსცა საპროცედურო დოკუმენტი სათაურით *ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის დოკუმენტის კონტექსტში გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და №1820 რეზოლუციების განხორციელება*, რაც მიზნად ისახავს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებში, დაგეგმვის ეტაპიდან განხორციელების ჩათვლით, №1325 და №1820 რეზოლუციების შესრულების და გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევის უზრუნველყოფას. დოკუმენტი ცალსახად განსაზღვრავს, რომ

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ხელშესაწყობად ევროკავშირის მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერა უნდა ითვალისწინებდეს №1325 და №1820 რეზოლუციების განხორციელებას.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (2004) მთლიანად ეფუძნება №1325 რეზოლუციას და ამავე რეზოლუციის ელემენტები ასევე შესულია 21-ე საუკუნეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საფრთხეებზე რეაგირების სტრატეგიაში. ეუთომ №1325 რეზოლუციის განხორციელების თანხმობა ასევე გამოხატა ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ქალები კონფლიქტების პრევენციის, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესებში.

ნატო-ს ძალებში ქალთა საკითხებზე მომუშავე კომისიის (ახლანდელი სახელწოდებაა გენდერული პერსპექტივის საკითხებზე მომუშავე კომისია) მთელი რიგი რეკომენდაციების შედეგად, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციამ (ნატო) 2009 წლის სექტემბერში გამოსცა დირექტივა ნატო-ს ბრძანებათა სტრუქტურაში გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციისა და გენდერული პერსპექტივების, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებში დაცვის მექანიზმების, ინტეგრაცია. სხვა ზომების მიღების გარდა, აღნიშნული დირექტივა ასევე მოუწოდებს ნატო-ს ყველა მისიაში გენდერული მრჩეველის თანამდებობის შექმნისა და ნატო-ს ძალებში პერსონალის აყვანამდე გენდერული ტრენინგის სავალდებულო გავლისაკენ.

წყნარი ოკეანის აუზის რეგიონში №1325 რეზოლუციის განხორციელება ჩართული იქნა წყნარი ოკეანის აუზის 2005 წლის რეგიონულ გეგმაში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისა და ინტეგრაციის შესახებ და ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ წყნარი ოკეანის აუზის რეგიონის 2005-2015 წლების სამოქმედო პლატფორმაში.

ქალებთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამების სრულყოფილი მონიტორინგი და შეფასება აუცილებელია რეფორმის პროგრესისა და ქალებზე, მამაკაცებზე, გოგონებსა და ვაჟებზე მისი ზეგავლენის განსასაზღვრად; ასევე მნიშვნელოვანია შემდგომი პოლიტიკის განხორციელებაში მიღებული გამოცდილების იდენტიფიცირებისათვის.

იხილეთ ნაწილი „გენდერი და ანალიზი, მონიტორინგი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების შეჯამებითი შეფასება“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ღობისძიებათა მონიტორინგი და საბოლოო შეფასება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განსახორციელებლად - 1325 ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე თუ უფრო ფართო პოლიტიკურ პლატფორმებზე დაყრდნობით. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებას დადებითი გავლენა არ მოუხდენია №1325 და №1820 რეზოლუციების განხორციელებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, ანალიზის ჩატარება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას პროცესის სრული მოცულობით განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.¹² პრობლემებს შორის დასახელდა საბაზისო მონაცემებისა და დაფინანსების არარსებობა, სირთულეები ინდიკატორებისა და ზოგადი საკონტროლო ციფრების განსაზღვრისას.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1889, მუხლები 9 და 17

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელებისათვის საჭირო ინდიკატორების შემუშავების საკითხში. 2010 წლის აპრილში, უშიშროების საბჭოს №1889 რეზოლუციის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს განსახილველად წარუდგინა 26 ინდიკატორი, რომლებიც გაეროსა და A სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, ასევე სახელმწიფოებს უნდა გამოეყენებინათ უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის შესრულების მონიტორინგსა და შეჯამებით შეფასებაში. აღნიშნული ინდიკატორები ოთხ ჯგუფად იყოფა: პრევენცია, მონაწილეობა, დაცვა და დროული დახმარება და აღდგენა. მათგან რიგი ინდიკატორებისა მჭიდრო კავშირშია უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან. მაგალითად:

- შეიარაღებული ძალებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოების რაოდენობა და წილი პროცენტებში, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სტრუქტურა, ქვეყნის კოდექსი და ეროვნული უშიშროების ძალების სტანდარტული სახელმძღვანელო პროცედურები/ოქმები, როლებშიც გათვალისწინებულია ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის ზომები;
- მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სისტემაში ქალთა მონაწილეობის დონე;
- შეიარაღებულ ძალებთან ან ჯგუფებთან დაკავშირებულ ყოფილ ქალ-მებრძოლთა, ასევე განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებში მონაწილე ქალთა და გოგონათა რაოდენობა და პროცენტული შეფარდება.

უშიშროების საბჭომ მზაობა გამოთქვა, შეიმუშაოს ინდიკატორთა კომპლექსური სისტემა უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის მეათე წლისთავთან (2010 წლის ოქტომბერი) დაკავშირებით.¹³

2010 წლის ივლისში ევროკავშირის საბჭომ უშიშროების საბჭოს №1325 და №1820 რეზოლუციების განსახორციელებლად მიიღო ინდიკატორები, რომლებიც ოთხ თემატურ ჯგუფად დაჯგუფდა: პრევენცია, მონაწილეობა, დახმარება და აღდგენა. ერთ-ერთი ამ ინდიკატორებიდან უსაფრთხოების სექტორის რეფორმის იმ პროექტებისა და პროგრამების რაოდენობაა, რომლებიც „ხორციელდება არასტაბილური ვითარების, კონფლიქტურ ან კონფლიქტის შემდგომ ქვეყნებში და რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გენდერული თანასწორობის პრობლემების გადაწყვეტაში და თავიანთ ძირითად მიზნად ისახავენ გენდერული თანასწორობის მიღწევას ან ქალთა უფლებების გაძლიერების საკითხებში გენდერულ თანასწორობას იყენებენ როგორც მთავარ პრინციპს; ასევე შესაბამის ქვეყნებში თანამშრომლობის პროგრამების დაფინანსების საერთო ოდენობა და მისი წილი პროცენტებში“¹⁴. აღნიშნული ინდიკატორი წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს, რომელიც გენდერული საკითხების გადაჭრისთვის უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას უსაფრთხოების სექტორის რეფორმის იმ აქტივობებში, რომლებიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ.

რიგი ეროვნული სამოქმედო გეგმებისა უკვე შეიცავს ინდიკატორებსა და მონიტორინგისა და შეფასების სხვა მექანიზმებს. კერძოდ:

- ავსტრიის №1325 ეროვნული სამოქმედო გეგმა თითოეული საქმიანობისათვის განსაზღვრავს ინდიკატორებს, პასუხისმგებლობებსა და დროის განრიგს. ინ-

დიკატორებს შორის არის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ჩართულ ქალთა რაოდენობა; ქვეყნის კოდ-ეფსი; ქალთა ჯგუფებთან ჩატარებული მაღალი დონის შეხვედრების რაოდენობა; სტატისტიკის მომზადება და გენდერის ექსპერტა/მრჩეველთა რაოდენობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მისიებში. სამინისტრო-თაშორისო სამუშაო ჯგუფს ევალება ეროვნული სამო-ქმედო გეგმის განხორციელებისა და განვითარების მონ-იტორინგი, კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება მინისტრთა საბჭოსა და, საბოლოოდ, პარლამენტის წინაშე.

- უგანდის №1325 და №1820 ეროვნული სამოქმედო გეგ-მა ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვების მექანიზმებს და განსაზღვრავს მონაცემთა წყაროს გეგმის თითოეუ-ლი სტრატეგიული მიზნისათვის. შეიარაღებული ძალებ-ისათვის სატრენინგო პროგრამების მონიტორინგისა და შეჯამებითი შეფასებისათვის სამოქმედო გეგმა ითვალ-ისწინებს ძირულ ანალიზს, ხელმძღვანელობის სახ-ეების შესწავლას და ტრენინგის ეფექტიანობის შემდგომ მონიტორინგს.
- კოტდივუარის №1325 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, პერიოდული შეფასების გარდა, თითოეული პროექტი-სათვის გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შე-ფასების კომიტეტის შექმნა; გათვალისწინებულია ასევე ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა, რომელიც მთავრობას მოახსენებს ეროვნული სამოქმ-ედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მონიტორინგი და შეჯამებითი შეფასება შეიძლება ჩაატარონ სამთავრობო სტრუქტურებმა ან მონვეულმა სპეციალისტებ-მა. ორივე შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების, განსა-კუთრებით კი ქალთა ჯგუფების ჩართვა არა მხოლოდ უფრო დიდი რაოდენობის და სრული მონაცემების მიღებას უზრუნ-ველყოფს, არამედ აძლიერებს შეფასების სანდოობას. ბელ-გიის, ჰოლანდიისა და ლიბერიის ეროვნული სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს შეფასების ჩატარებას სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფის მიერ.¹⁵

4.2 უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთან დაკავშირე-ბულ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გზით

უსაფრთხოების სექტორის რეფორმებსა და უშიშროების ინ-სტიტუციებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეო-ბის ხელშეწყობა გენდერული ასპექტების ინტეგრირების მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს ოთხი რეზოლუცია უსა-ფრთხოების სექტორის პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის რიგ რეკომენდაციებსა და სახელმძ-ღვანელო პრინციპებს გთავაზობს:

- ქალთა წარმომადგენლობისა და სრული და თანაბარი მონაწილეობის გაზრდა უსაფრთხოების სექტორის რე-ფორმის პროცესებსა და უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების დონეზე;
- საჯარო გადაწყვეტილების მიღებაში ჩასართავად ქალ-თა შესაძლებლობების გაძლიერება;
- სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაში ქალთა ჩართვის ხელშეწყობი ზომების გატარება, ასევე ქალთა სამშვიდობო ინიციატივების ხელშეწყობა.

ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა

უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მონაწილეობის, მათ შორის მოლაპარაკების წარმოების, პოლიტიკის შემუშავების, ზედამხედველობისა

და საჯარო კონსულტაციების ჩატარების, დემოკრატიული უფლება მოქალაქეობის ძირითადი ასპექტია, რომელსაც განამტკიცებს რიგი ეროვნული თუ საერთაშორისო კანონ-ების და ხელშეკრულებებისა. მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენ-ციის მე-7 მუხლი წევრი სახელმწიფოებისაგან ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობის თანაბარი უფლებების უზრუნვე-ლყოფას მოითხოვს.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რე-ზოლუციებში ასახულ მთავარ პრინციპებს უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებაში ქალთა წარ-მომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა წარმოად-გენს. უშიშროების საბჭოს №1325, №1820 და №1888 რე-ზოლუციები მოითხოვს ქალთა წარმომადგენლობას და მათ სრულ და თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილე-ბათა მიღებაში კონფლიქტის მართვასთან და მოგვარე-ბასთან, ასევე კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის მშენ-ებლობასთან დაკავშირებული დისკუსიებისა და მექანიზმე-ბის ფარგლებში. ანალოგიურად, უშიშროების საბჭოს რე-ზოლუცია №1889 მოითხოვს ზომების გატარებას ქალთა მონაწილეობის გასაუმჯობესებლად კონფლიქტის შემდგომ დაგეგმვაში, მშვიდობის მშენებლობასა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც უსაფრთხოების სექტო-რის რეფორმის პროცესებს მოიცავს. რეზოლუციაში ასევე საგანგებოდ არის აღნიშნული ქალებისა და გოგონების საჭიროებათა გამოსავლენად ქალთა სამოქალაქო საზოგ-ადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის აუცილებლობა და მათთან კონსულტაციების მნიშვნელობა.

ჩანართი 3: ლიბერიელ ქალთა მოძრაობა

ლიბერიაში ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზა-ციები, 1989-2003 წლების სამოქალაქო ომების დროს სამშვი-დობო მოძრაობაში მათი ჩართვის შემდეგ, განაგრძობდნენ მუშაობას ადვოკატი, შერიგებასა და ქალთა უფლებების მხარდაჭერაზე. ქალთა მოძრაობას, აქტივისტებსა და მთავრო-ბის ოფიციალურ პირებს შორის თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ თანამშრომლობის ერთიანი პლატფორმა, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში ასახულიყო ადგილობრივი უსაფრთხოებისა და სამართლის საკითხები.

ქალთა ორგანიზაციების დახმარებით ჩამოყალიბდა უსა-ფრთხოებასთან მიმართებაში უფრო ფართო შეხედულება, რომელიც ითვალისწინებს გენდერული ძალადობის ბრძანს. უსა-ფრთხოების სექტორის გარდაქმნის შედეგად იუსტიციის სამინ-ისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა გენდერული ძალადობის დანაშაულთა განყოფილება, ქალთა და ბავშვთა დაცვის განყო-ფილებები ლიბერიის ეროვნულ პოლიციასა და პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავს ლიბერიის ეროვნულ პოლიციაში ქალთა რაოდენობის გაზრდას.

ლიბერიის ეროვნული სამოქმედი გეგმა ითვალისწინებს სამო-ქალაქო საზოგადოების სადამკვირვებლო ორგანიზაციის (ე.წ. „ობსერვატორიის“) შექმნას, რომელშიც გაერთიანდებიან ქალ-თა ჯგუფები. ობსერვატორიას დავისჩინება ეროვნული სამოქმე-დო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადება, რომელიც თან დაერთვება ლიბერიის მთავრობის ანგარიშს გაეროს უშიშროების საბჭოში წარ-სადგენად.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლები 1 და 8; უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820 მუხლი 12; უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1888, მუხლი 16, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1889, მუხლები 1, 10 და 11.

უშიშროების საბჭოს რეფორმის ეროვნულ და რეგიონულ ინსტიტუციებში, მექანიზმებსა თუ პროცესებში ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა შესაძლებელია გაიზარდოს:

- გენდერის/ქალთა სამინისტროებიდან წარმომადგენლების მოზიდვით;
- ქალთა ეროვნული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელიდან და სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან წარმომადგენლების მოზიდვით (იხ. ჩანართი 3)
- ქალთა ორგანიზაციებთან, მათ შორის სათემო და უმცირესობების ჯგუფებთან, კონსულტაციების გამართვით. მსგავსი კონსულტაციები უნდა ტარდებოდეს ქალებსათვის ხელმისაწვდომ ადგილებში და ისინი უზრუნველყოფილები უნდა იქნენ ტრანსპორტით და ბავშვების მოვლით. ქალებთან კონსულტაციებისთვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად შესაძლებელია აუცილებელი გახდეს თემის ლიდერებთან მუშაობა.
- გენდერის ექსპერტებისგან რჩევების მიღებით;
- შესაბამისი კომიტეტის წევრების შესარჩევ კრიტერიუმებში გენდერულ საკითხებში გამოცდილების ჩართვა.

ქალები ასევე უნდა იყვნენ ჩართულები უსაფრთხოების სექტორის ისეთ ზედამხედველ ორგანოებში, როგორცაა სამინისტროები, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები, ადამიანის უფლებების კომისიები და ომბუდსმენის ინსტიტუტები. საპარლამენტო უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტების მუშაობაში ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა შესაძლებელია გაიზარდოს:

- ქალი პარლამენტარების დანიშვნით, საჭიროების შემთხვევაში, კვოტების გამოყენებით;
- ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე მუშაობისა და მონიტორინგის პროცესებში ქალთა საპარლამენტო კავშირებთან თანამშრომლობით;
- მოსმენებზე ქალთა თემის ლიდერთა მონაწილეობის მოწვევით.

მიღებული გამოცდილება:

- უშიშროების საბჭოს რეგულაციებში აღიარებულია, რომ დაცვა, დაფინანსება და განათლების ხელმისაწვდომობა უშიშროების ინსტიტუციებსა და პროცესებში ქალთა მონაწილეობისათვის აუცილებელი წინაპირობაა.
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს პოლიტიკურ გადანაცვლებათა მიღების პროცესებში ქმედითი ჩართვისათვის ხშირად ესაჭიროებათ სპეციალური ტრენინგი.
- უფრო მეტად გავლენიანი და ეფექტიანია ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელური მუშაობა. ქალთა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის და მათი კოალიციის შექმნის ხელშეწყობას შეუძლია გააძლიეროს მათი ჩართვის პოტენციალი.
- ქალთა ორგანიზაციებსა და მამაკაცთა სტრატეგიულ კავშირებს შორის თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა ტრადიციულად „ქალთა საკითხების“ წინა პლანზე წამოწევა. რუანდას ქალთა საპარლამენტო ჯგუფმა გენდერული ძალადობის შესახებ კანონზე მუშაობისას პარლამენტის წევრი მამაკაცებისა და თემის ლიდერების დახმარება ითხოვა, რამაც ზოგადად საზოგადოების ჩართულობა და კანონმდებლობის მიმართ ხალხის დიდი მხარდაჭერა გამოიწვია.¹⁶

საჯარო გადანაცვლებათა მიღებაში მონაწილეობის მისაღებად ქალთა შესაძლებლობების გაზრდა

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული რეგულაციები კონფლიქტის შემდგომ პერიოდში საჯარო გადანაცვლებათა მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის მისაღებად მათი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

იხ. უშიშროების საბჭოს რეგულაცია №1889, მუხლები 10 და 11

სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა შესაძლებლობების გაზრდას გადანაცვლებათა მიღების პროცესებში მათ მიერ მონაწილეობის მისაღებად, მოიცავს:

- სასწავლო პროგრამებს, რომლებიც ქალებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ მაღალი დონის პოლიტიკოსების ან უშიშროების სფეროს მაღალჩინოსნების გამოცდილებით.
- კვოტებს და/ან სწრაფი დანიშნულების პროგრამებს. ამგვარი ტიპის კონსტრუქციული სამოქმედო პოლიტიკა წინააღმდეგობრივი შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა მსგავსი პროგრამები ხშირად მაღალ დონეზე ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთადერთი სტრატეგია გამხდარა. ქალებისათვის მაღალ დონეზე მოხვედრის ხელშეწყობა მაგალითს აძლევს ახალგაზრდა ქალებს და მათ მომავალ მონაწილეობას ახალისებს.
- შესაძლებლობების გაზრდას, რაც ქალებსა და ქალთა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, სრულად მიიღონ მონაწილეობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე გამართულ დებატებში ადგილობრივ, ეროვნულ თუ რეგიონულ დონეებზე.
- უსაფრთხოების საკითხებზე საჯარო კონსულტაციებსა და გადანაცვლებების მიღების სხვა ფორუმებში (იხილეთ ჩანართი 4) ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების ჩართვის უზრუნველყოფას.
- დაცვას, რომელიც ქალ ლიდერებს მისცემს თავისუფლად გადაადგილებისა და პოლიტიკურ დისკუსიებში მათი და მათი ოჯახის წევრების შიშის გარეშე მონაწილეობის საშუალებას.
- სამსახურებრივ რეფორმებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მამაკაცებსა და ქალებს, სამსახური და პოლიტიკური საქმიანობა შეუთავსონ ოჯახურ ცხოვრებას.
- განათლების ხელმისაწვდომობას.

ქალთა ჩართვა სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაში და ქალთა სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერა

რეგულაციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ აღიარებს ქალთა მნიშვნელობას სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაში, ასევე ადგილობრივ ქალთა სამშვიდობო ინიციატივებს. სამშვიდობო შეთანხმებებზე მოლაპარაკება და მათი განხორციელება უნდა იყოს ინკლუზიური, მონაწილეობითი და ლეგიტიმური, რასაც შესაძლებელია მივაღწიოთ ქალთა და მამაკაცთა მხოლოდ აქტიური და თანაბარი მონაწილეობით.

იხ. უშიშროების საბჭოს რეგულაცია №1325, მუხლი 8; უშიშროების საბჭოს რეგულაცია №1889, მუხლი 1.

პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში სამშვიდობო შეთანხმებები ხშირად ხდება უშიშროების სექტორის რეფორმის საფუძველი. კავშირები სამშვიდობო და უშიშროების სექტორის რეფორმის პროცესებს შორის ისეთი ერთობლივი სტრატეგიების განხორციელებას მოითხოვს, როგორცაა:

- მედიატორული ჯგუფების წახალისება, მოიპოვონ ინფორმაცია გენდერის ექსპერტებისაგან: ამით უზრუნველყოფილი იქნება, რომ შეთანხმებები უსაფრთხოების საკითხებზე (მათ შორის სამართალი მოქმედებების შეჩერებაზე, ცეცხლის შეწყვეტაზე, უშიშროების სექტორის რეფორმასა და განიარაღებაზე, დემობილიზაციასა და რეინტეგრაციას) ითვალისწინებდნენ ბრძოლას კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და მის პრევენციას კონფლიქტის შემდგომ პერიოდში.
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში სამშვიდობო ჯგუფებთან კონსულტაციები: თემის დონეზე კონფლიქტის შემდგომ პერიოდში დიდ აქტიურობას იჩენენ ქალები ფორმალურ თუ არაფორმალურ მედიაციაში, კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში. ამგვარი ინიციატივების მხარდაჭერა დაზარალებული თემებისათვის ქმნის ლიდერობის ახალ მისაბამს და ზრდის მარგინალიზებული წევრების მონაწილეობას. შემდეგი საფეხური იქნება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ოფიციალურ სტრუქტურებში ამ ლიდერ ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- თემის დონეზე სამშვიდობო ინიციატივების, როგორცაა შერიგების მექანიზმები და სხვა ტრადიციული მედიატორული პრაქტიკა, დაკავშირება მართლმსაჯულებისა და პოლიციის რეფორმასთან.
- ქალთა ჯგუფების გამოცდილების და თემის კავშირების გამოყენება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებისა თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებისას.

ჩანართი 4: ყავა მერთან

ინიციატივა „ყავა მერთან“ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 2001 წლიდან ხორციელდება. ყოველ კვირას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ქალთა კითხვებზე პასუხის გასაცემად და მათი პრობლემების მოსაგონად იწვევენ ქალთა ცენტრში. პროექტის დაგეგმვისას განსაკუთრებული ძალისხმევა იქნა გამოყენებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეხვედრები ჩატარებულიყო იმ დროს, როდესაც თემის ქალები თავისუფლები იქნებოდნენ თავიანთი ჩვეულებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.

შეხვედრები ქალებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად და პირდაპირ ისაუბრონ პოლიტიკოსებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან, მოითხოვონ მათგან პასუხები. შეხვედრები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ თვით პოლიტიკოსებიც იყენებენ აღნიშნულ პლატფორმას და აღიარებენ, რომ ქალები მნიშვნელოვანი აქტორები არიან საზოგადოებაში და საჭარო გადაწყვეტილებათა მიღებაში.

წყარო: UNIFEM, ქალების როლი მშვიდობის მშენებლობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციაში კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში, 2007, 4

წარმატებული გამოცდილების მაგალითები:

- იმის დასამტკიცებლად, რომ ქალები ჩართულები უნდა იყვნენ მოლაპარაკების ჯგუფებში: კენიაში 2007 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების საეჭვო შედეგებზე გამოიწვია კრიზისი, რომელმაც 1000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ასობით ათასი ადამიანი თავშესაფრის გარეშე დატოვა. გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანის მედიატორობით იყო მცდელობა, რომ მოლაპარაკების საშუალებით მოქმედი ყოფილი კრიზისის დაძლევის გზები, შერიგებულიყვნენ თემები და თავიდან აცილებულიყო მომავალი კონფლიქტი. აფრიკის კავშირის კომისიამ საგანგებო თხოვნით მიმართა მოლაპარაკების პროცესში მონაწილე მხარეებს, რომ მათ შესაბამის დელეგაციებში ჩაერთოთ ქალები. შედეგად, მოლაპარაკებაში მონაწილე ორივე

ოთხკაციანი ჯგუფში თითო ქალი იყო. ამ ქალებმა და კენიის ქალთა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორცაა კონსტიტუციური, სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმა; არჩევნების შემდგომი ძალადობის ძირეული მიზეზების გამოვლენა; გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა და დაუსჯელობის პრობლემის მოგვარება.¹⁸

- თემის მონაწილეობის ორგანიზება ქალთა ქსელების მეშვეობით: ბურუნდში სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სერიოზული მხარდაჭერა გაუწიეს გენდერული ასპექტების ჩართვას მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებასა და განხორციელებაში და გაეროს მშვიდობის მშენებლობის ფონდის მიერ დაფინანსებულ მსგავს პროექტებში. ქალთა ორგანიზაციებმა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაკოორდინებელი ორგანო “Cadre de Coordination et Concertation pour la consolidation de la Paix et la mise en oeuvre de la Resolution 1325” (Cadre)” დააფუძნეს. Cadre-ის წარმომადგენელმა მშვიდობის მშენებლობის ფონდის ერთობლივ საკოორდინაციო კომიტეტში მხარი დაუჭირა მშვიდობის მშენებლობის ფონდის მუშაობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას. მან ასევე ტექნიკური კონსულტაციები ჩაატარა აღნიშნულის შესასრულებლად. თითოეული პროექტისათვის Cadre-მა შეიმუშავა გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები და ქვეყნის მასშტაბით შექმნა ადგილობრივ ქალთა ჯგუფები, რათა მათ მოეხდინათ მონიტორინგი, თუ როგორ ხორციელდება მშვიდობის მშენებლობის ფონდის პროექტები და როგორია მათი გავლენა ადგილობრივ დონეზე.¹⁹

4.3 თავდაცვის სისტემის რეფორმაში

თავდაცვის რეფორმა მოიცავს სახელმწიფო თავდაცვის სექტორის ისეთ გარდაქმნას, როდესაც ინსტიტუციები:

- ექვემდებარებიან სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კონტროლს;
- არიან ანგარიშვალდებულებისა და სათანადო მმართველობის პრინციპების ერთგულნი;
- ჰყავთ თავიანთი მისიის შესაბამისი რაოდენობის შეიარაღებული ძალები;
- აქვთ წარმომადგენლობითი შემადგენლობა;
- განვრთნილი და აღჭურვილი არიან სტრატეგიული გარემოს შესაბამისად;
- იცავენ საერთაშორისო სამართალს და, ამდენად, წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული თუ საერთაშორისო მიზნების მიღწევაში.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული ოთხ რეზოლუციაში თავდაცვის რეფორმის რეალიზაციისათვის მოცემულია რიგი კონკრეტული ვალდებულებების და რეკომენდაციებისა შემდეგ ასექტებთან მიმართებაში:

- თავდაცვის ინსტიტუციებში ქალთა წარმომადგენლობა გადანაცვლებათა მიღების დონეზე;
- განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს;
- შეიარაღებული და უშიშროების სამსახურების შემოწმება სექსუალური ძალადობის და საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა დარღვევების გათვალისწინებით.

კონკრეტული ვალდებულებები იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთ სამხედრო პერსონალს უშვებენ გავროს მშვიდობისმყოფელთა მისიებში, განხილულია 4.6 ქვეთავში.

ამჟამად შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული ქვეყნების ვალდებულებები განხილულია 4.7 ქვეთავში.

ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობა გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე შეიარაღებულ ძალებში

შეიარაღებულ ძალებში ქალთა გაძლიერებული წარმომადგენლობა ერთი ასპექტია იმ ფართო ვალდებულებისა, რომელიც მოცემულია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებულ რეზოლუციებში. მისი მიზანია ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა იმ ინსტიტუციებსა და მექანიზმებში, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტის პრევენციას, მართვასა და მოგვარებას.

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N°1325, მუხლი 1

უნდა გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა სხვა შესაბამის ინსტიტუციებსა და მექანიზმებში, როგორც არის თავდაცვის სამინისტროები, საპარლამენტო და აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც მუშაობენ თავდაცვის საკითხებზე, რეგიონული და საერთაშორისო თავდაცვის კავშირები და მშვიდობისმყოფელთა ძალები.

შვედეთის 1325 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ქალი თანამშრომლების არსებობას დადებითი გავლენა აქვს კონფლიქტის შემდგომ ქვეყნებში უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერ ზომებსა და სტრატეგიებზე, როგორცაა განათლება, წვრთნა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება. შეიარაღებულ ძალებში ქალთა გაზრდილი მონაწილეობის დადებითი მხარეები და ქალთა განვითარების, სამსახურში შენარჩუნებისა და წინსვლის ხელშეწყობის ზოგადი სტრატეგიები განხილულია ნაწილში „თავდაცვის რეფორმა და გენდერი“.

უშიშროების საბჭოს N°1325 რეზოლუციაში ყურადღების გამახვილება „გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე“ გულისხმობს, რომ ქალთა წარმომადგენლობა მხოლოდ დაბალ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ ასევე გადამწყვეტილებათა მიღების მაღალ დონეებზეც. მოცემულ ნაწილში საუბარია ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე გადაწყვეტილებათა მიღების მაღალ საფეხურებზე.

არც ისე დიდია შეიარაღებულ ძალებში მაღალ თანამდებობებზე ქალთა რაოდენობა. 2000 წელს ნატოს ძალებზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქალთა 70% თავმოყრილი იყო დამხმარე სამსახურებში.²⁰ თავდაცვის რეფორმის პროცესის მსვლელობისას შესაძლებელია, განხორციელდეს რიგი ზომებისა, რომლებიც გაზრდის ქალთა რაოდენობას მაღალ თანამდებობებზე შეიარაღებულ ძალებში. აღნიშნულ ზომებს მიეკუთვნება:

- ფორმალური დაბრკოლებების მოშლა ქალებისათვის მაღალი წოდებების მიღების გზაზე, მაგალითად, მოთხოვნებისა, რომელთა საფუძველზე ქალები არ დაიშვებიან სამხედრო სამსახურის ზოგ სახეობაზე;²¹
- თავდაცვის სამინისტროებში (იხ. ჩანართი 5) გენდერის ან ქალთა განყოფილების შექმნა;
- შეიარაღებულ ძალებში ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა ქალთა წინსვლის მხარდაჭერისა და ნახალისებისათვის, როგორც არის ქალთა საკადრო ასოციაციები,

სასწავლო პროგრამები და საკონტაქტო პუნქტები ქალებისათვის. მაგალითად, კანადური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს კანადის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ კადრებს, ყოველწლიურად მართავს სიმპოზიუმს თემაზე „ქალი ლიდერები თავდაცვის სფეროში“, რაც გვიჩვენებს ქალთა წინსვლის ინსტიტუციურ მხარდაჭერას;²²

- ოპერატიულ თანამდებობებზე ქალთა სამსახურის მხარდაჭერა სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებთან მუშაობის პროგრამის გამოყენებით და ლოჯისტიკის შესაბამისი ზომების გატარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს ჰქონდეთ ისეთი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც მათ წინსვლის საშუალებას მისცემს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებს ჰქონდეთ განათლების მიღებისა და ტრენინგის გავლის შესაძლებლობები, რაც მათ წინსვლის საშუალებას მისცემს. უკანდის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში N°1325 და N°1820 რეზოლუციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილია, რომ შეიარაღებული ძალების წევრებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამები შეიცავდეს სპეციალურ სწავლებას ქალებისათვის ლიდერობასა თუ სხვა უნარ-ჩვევებში.
- დანინაურების ისეთი კრიტერიუმების შემოღება, რომლებიც გაითვალისწინებს ქალთა ინდივიდუალურ უნარებს შეიარაღებული ძალების ეფექტიანობას ასამაღლებლად.
- ქალებისთვის უფრო მაღალი წოდებების მინიჭების მიზნის დასახვა. მაგალითად, ნორვეგიის 1325 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ნათქვამია: „სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა არანაკლებ 25%-ს ქალები უნდა შეადგენდნენ“.
- უნდა მოხდეს უფროს ოფიცრებს შორის ქალთა პროცენტული შემადგენლობის მუდმივი მონიტორინგი.

განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს

განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია უფრო მოკლევადიანი სტაბილიზაციის ინსტრუმენტია, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, განიარაღებას, დემობილიზაციას და რეინტეგრაციას ბევრი მიიჩნევს პირველ ნაბიჯად კონფლიქტგადატანული ქვეყნებისათვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესები ეხმარებოდეს როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა განსაკუთრებულ საჭიროებებს:

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N°1325, მუხლი 13, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N°1888, მუხლი 17, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N°1889 მუხლი 13.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საგრძნობი პროგრესი შეინიშნება ამ მიზნის მიღწევის გზაზე. გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ცნობარ-სახელმძღვანელოები განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების დაგეგმვისას გენდერული სპეციფიკის გასათვალისწინებლად: „განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის კომპლექსური სტანდარტები“ და გავროს ქალთა ფონდის (UNIFEM) საკონტროლო ჩამონათვალი „განიარაღება, დემობილიზაცია და რეინტეგრაცია გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით“.

მიღებული გამოცდილება დაგეგმვის, განიარაღებისა და დემობილიზაციის სფეროში:²³

- სამშვიდობო შეთანხმებებმა უნდა აღიაროს ყველა ის გზა, რითაც ქალები და გოგონები დაკავშირებულები არიან შეიარაღებულ ჯგუფებთან, და მიიჩნიოს ასეთი ადამიანები განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების თანაბარ ბენეფიციარებად, ქალ და მამაკაც ყოფილ მებრძოლებთან ერთად;
- გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ქალთა საჭიროებები, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახის დამოკიდებულ წევრებს;
- განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესების ყველა დონესა და ეტაპზე არსებობს ქალთა ჩართვის საჭიროება, რომელიც მოითხოვს საჭიროებათა შეფასებისათვის კოლექტიური მოდელის შექმნას;
- უნდა შეგროვდეს სქესის მიხედვით კლასიფიცირებული მონაცემები და მათი გამოყენება უნდა მოხდეს შეიარაღებულ ჯგუფებთან დაკავშირებულ ყველა მებრძოლზე, დამოკიდებულ ოჯახის წევრებსა და სხვა პირებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად;
- გენდერის ექსპერტები უნდა იყვნენ ჩართულები განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამის ყველა ეტაპზე, ხოლო ამ პროგრამების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ტრენინგი გენდერის საკითხებზე, იმისათვის, რომ შეძლონ მსგავსი პროგრამების დაგეგმვა, დანერგვა და შეფასება გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით;
- დემობილიზაციის ადგილებზე ქალი პერსონალის არსებობა ქალთა სკრინინგისათვის პროცესს უფრო ხელი-საწვდომს და მისაღებს ხდის;
- თუ განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ბანაკები არ იქნება დაპროექტებული გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით, მაგალითად, თუ ქალებისა და მამაკაცებისათვის არ იქნება გამოყოფილი ცალკე საცხოვრებელი და შესაბამის პერსონალს გავლილი არ ექნება სპეციალური მომზადება გენდერულ საკითხებზე, ბანაკები შესაძლებელია იქცეს სექსუალური ძალადობის ადგილებად;
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალები და გოგონები ოფიციალურად (ქალაქად) ჩართულები არიან განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებში, აღნიშნული პროგრამების გამოცდილებამ ლიბერიასა და სიერა ლეონეში აჩვენა, რომ ისინი შესაძლებელია არ დარეგისტრირდნენ სხვადასხვა გენდერული მოსაზრების გამო. ამ მოსაზრებებს შორის არის შიში საბანაკო ადგილებში დიდი რაოდენობით ყოფილ მამაკაც მებრძოლთა ყოფნის გამო, ან სოციალური სტიგმა, რომელიც შეიარაღებულ ძალებში მყოფ ქალებთან არის ასოცირებული. განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებში უნდა აისახოს ქალთა პრობლემები და ამ პროგრამების ფარგლებში უნდა ხდებოდეს უშუალო კომუნიკაცია საომარი მოქმედებების ქალ მონაწილეებსა და მომხრეებთან. ქალთა ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად წახალისონ ქალთა მონაწილეობა;
- ქალთა ჯგუფებისა და ქსელების შექმნის მხარდაჭერა ხელს უწყობს ქალთა გაძლიერებას და ორგანიზებას და განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებში მყოფ ქალებს საშუალებას აძლევს, სხვებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება;

■ განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები უნდა შეიცავდეს შემომხმების მექანიზმებს (განხილული იქნება ქვემოთ) ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევისათვის დაუსჯელობის თავიდან ასაცილებლად;

■ განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების ზეგავლენის გასაზომად გამოყენებული უნდა იქნეს თვისებრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები, ხოლო შეფასებები უნდა ტარდებოდეს ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით.

მიღებული გამოცდილება რეინტეგრაციისთან დაკავშირებით:²⁴

- ქალ მებრძოლებს ხშირად ესაჭიროებათ მხარდაჭერა სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციისათვის, ვინაიდან ისინი ხშირად არიან სტიგმატიზებული „კულტურასთან შეუთავსებელი“ ქცევის გამო. ამდენად, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა იმ მომსახურებებით უზრუნველყოფა, რომლებიც ეხება ემოციურ ტრავმასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას. საშუალოდ, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების რეინტეგრაციის კომპონენტებში ხშირად არ არის გათვალისწინებული რესურსები შესაბამისი დახმარებისათვის (გარდა სტანდარტული საარსებო პაკეტისა). რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის სტრატეგიები ხშირად აღიარებს შეიარაღებულ ძალებთან და ჯგუფებთან დაკავშირებულ ქალთა და გოგონათა განსაკუთრებულ საჭიროებებს, თუმცა ამ საჭიროებების დამყოფილების არანაირ გზას არ ითვალისწინებს.
- განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებიდან უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამებზე გადასვლისას ქალებს იშვიათად ეძლევათ შესაძლებლობა, შეუერთდნენ უშიშროების ახალ ძალებს.
- ქალთა ორანიზაციები შეიძლება იყვნენ ქმედითი პარტნიორები. სიერა ლეონეში 2004 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელიც შეეხებოდა ყოფილ რეინტეგრირებულ მებრძოლებს, რესპონდენტთა 55%-მა აღნიშნა, რომ მათი თემის ქალებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მათ რეინტეგრაციაში. რესპონდენტთა 20%-მა დახმარება მიიღო ადგილობრივი ტრადიციული ლიდერებისაგან, ხოლო 32%-მა საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამშრომლებისაგან.

ყოფილი მებრძოლების დაბრუნებას სამოქალაქო სამოგადობაში ხშირად გამოუწვევია ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, დონის ზრდა. რეინტეგრაციის პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ზომების გატარება, როგორცაა ფსიქოლოგიური კონსულტაციები, რეაბილიტაცია და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეწყობს ყოფილი მებრძოლების ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებას და გენდერული ძალადობის რისკის შემცირებას. მნიშვნელოვანია ყოფილი მებრძოლებისთვის ეკონომიკური ალტერნატივების უზრუნველყოფა იმ ადგილებში, სადაც მათ ელიტად მიიჩნევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მათ იარაღით მოიპოვონ სარჩო, ხოლო მაროდირობას ხშირად თან ახლავს სექსუალური ძალადობა. იმ ზომების გატარება, რომლებიც შეამცირებდა ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების გავრცელებას თემში, ასევე შეზღუდავდა სექსუალური ძალადობის გამოყენებას. განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები და გარდამავალი უშიშროების ღონისძიებები ასევე კოორდინირებული უნდა იქნეს თემის უსაფრთხოების ინიციატივებთან, რაც დაიცავდა სამოქალაქო პირებს ადგილობრივ თემში სექსუალური ძალადობის საფრთხისაგან.²⁵

ჩანართი 5: ქალთა კომისია („ობსერვატორია“) ესპანეთის შეიარაღებულ ძალებში

ესპანეთის შეიარაღებულმა ძალებმა პირველად დაუშვა ქალთა მებრძოლი რაოდენობით მონაწილეობა სამხედრო სამსახურში 1988 წელს. მას შემდეგ საკადრო პოლიტიკა ისე დაიხვეწა, რომ უკვე აღარ არსებობს რაიმე მებრძოლ ნაწილზე, რომელიც ქალებს შეიძლება მიენიჭოთ, ასევე სამუშაოს ტიპზე, რომელიც ქალებს შეუძლიათ შეასრულონ.

2005 წელს თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებულ ძალებში ქალთა კომისია შექმნა. სამინისტროს დავალია შეიარაღებულ ძალებში ქალთა ინტეგრაციის ხელშეწყობა. კომისია ტექნიკურ დახმარებას უწევს სამინისტროსა და სამხედრო პერსონალს და შემდეგ საქმიანობებს ახორციელებს:

- წესებისა და კანონმდებლობის პროექტების განხილვა გენდერულ ფაქტორებზე ზეგავლენის შესახებ ანგარიშის მომზადებისა და შეფასებისათვის;
- შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის პროაქტიული საინფორმაციო კამპანიების ჩატარება შეიარაღებულ ძალებში ქალთა როლების შესახებ ცნობიერების შეცვლის მიზნით;
- პასუხის გაცემა შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქალთა და მათ მეთაურთა კითხვებზე ადამიანური რესურსების პოლიტიკასთან დაკავშირებით (მაგ. ქალ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებები ორსულობის შემთხვევაში).

კომისია არ არის შეიარაღებული ძალების მეთაურობას დაქვემდებარებული სტრუქტურა და არ ცვლის საჩივრების განხილვის წესს; მიუხედავად ამისა, ის უზრუნველყოფს, რომ სამხედრო სამსახურში მომსახურე ქალებმა იცოდნენ ამ პროცედურების შესახებ.

კომისიის წარმატება შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგით:

- ის არ ასრულებს სამხედრო სამსახურში ქალთა ადვოკატის ან წარმომადგენლის ფუნქციას (ომბუდსმენის ოფისი ამჟამად არსებობს როგორც მამაკაცი, ასევე ქალი სამხედროებისათვის). მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციით, ობსერვატორია მიუკერძოებელ კონსულტაციას, რჩევას და მიმართულებას აძლევს სამხედრო სამსახურში მყოფ ყველა იმ პირს, რომელსაც ესაჭიროება შეიარაღებულ ძალებში ქალთა ინტეგრაციის წარმართველ კანონმდებლობაზე ახსნა-განმარტებები;
- სამინისტროსთვის გენდერულ ფაქტორებზე ზეგავლენის შეფასების მეშვეობით ობსერვატორიამ სამინისტროში ნდობა მოიპოვა;
- სამხედრო სამსახურში მყოფ ქალებთან კონსულტაციით, ობსერვატორია გვთავაზობს დეტალურ ინფორმაციას სამხედრო სამსახურში მყოფ ქალებზე და მათ პრობლემებზე.

წყარო: თავდაცვის სამინისტრო, გენდერული თანასწორობის კომისია
http://www.mde.es/en/areasTematicas/observatorio/index.html?__locale=en

შეიარაღებული ძალების და უშიშროების სამსახურების შემოწმება

საკონტროლო შემოწმებას უწოდებენ ადამიანის ბიოგრაფიისა და კეთილსინდისიერების ანალიზს, რითაც განისაზღვრება მისი გამოსადეგობა საჯარო სამსახურისათვის. პროცესი ასევე მოიცავს რიგ ოფიციალურ პროცედურებს ადამიანის უფლებათა დარღვევაში ან ომის დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირების გამოსავლენად და სამსახურიდან გასათავისუფლებლად, განსაკუთრებით კი უსაფრთხოების სექტორიდან ან სხვა სამთავრობო დაწესებულებებიდან.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციები ითვალისწინებს შემოწმების ჩატარებას როგორც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ, ასევე სამშვიდობო პროცესების დასრულების შემდეგ:

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820 მუხლი 3; უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1888 მუხლები 3 და 17

სექსუალური ძალადობის დანაშაულთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა დარღვევათა შემოწმება რიგი მოსაზრებების გამოა მნიშვნელოვანი: სამოქალაქო პირებისა და უშიშროების სამსახურების თანამშრომელთა დასაცავად იმ პირებისაგან, რომლებიც ძალაუფლებას იყენებენ დანაშაულის ჩასადენად; იმის უზრუნველსაყოფად, რომ უშიშროების სამსახურებმა მოიპოვონ მოსახლეობის ნდობა; სექსუალური ძალადობისა თუ სხვა ბოროტმოქმედებისთვის დაუსჯელობის თავიდან ასაცილებლად. პოსტკონფლიქტურ ან პოსტავტორიტარულ სიტუაციაში, სადაც ყველა ის პირი, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, არ წარდგება სასამართლოს წინაშე, იმის უზრუნველყოფა, რომ მათ გაათავისუფლებენ საჯარო სამსახურიდან, გარკვეულად სანქციის ტოლფასია.²⁶

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონგოელ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა ერთხმად დაგმეს ეფექტიანი და სამართლიანი შემოწმების პროცესის არარსებობა. კონგოს ჯარში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის არარეგულარული და რეგულარული შეიარაღებული ძალების ინტეგრაცია მოხდა სათანადო შემოწმების გარეშე. ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ სექსუალურ ძალადობასა და სხვა სერიოზული დანაშაულების (მათ შორის გაუპატიურების, ჯგუფური გაუპატიურების, სექსუალური მონობის, სამხედრო სამსახურში ქალებისა და გოგონების იძულებით ჩაყენების) ჩადენაში, კვლავ რჩებიდნენ უმაღლეს თანამდებობებზე, ზოგ შემთხვევაში მათი დანიშნულებაც კი მოხდა. შედეგად მიღებულ „დაუსჯელობის ინსტიტუციონალიზაციას“ შესაძლებელია დიდი როლი ეთამაშა სექსუალური ძალადობის ბრძაში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონფლიქტის დროს.²⁷

ლიბერიაში, პირიქით, გაერომ შემოიღო შემოწმების პროგრამა, რითაც ფასდებოდა ლიბერიის ეროვნული პოლიციისა და უშიშროების სექტორის სხვა ძალების კვალიფიკაცია და ეფექტიანობა. პირველი ორი წლის განმავლობაში აღნიშნულმა „დეაქტივაციის“ პროგრამამ შედეგად გამოიღო ის, რომ დაითხოვეს პოლიციის 2 150 თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ იყო სრულყოფილი, მან მაინც მიიღო დადებითი გამოხმაურება, ვინაიდან ხელი შეუწყო პოლიციის სისტემის განმენდას ყველაზე კორუმპირებული და სასტიკი თანამშრომლებისგან.²⁸

სექსუალური ძალადობისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა დარღვევებისათვის შემოწმების პროგრამის დაგეგმვისას:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შემოწმების პროცესები დაფუძნებული უნდა იყოს ინდივიდის ქცევაზე და არა ჯგუფისა თუ დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობაზე. შემოწმება უნდა იყოს სამართლიანი და ითვალისწინებდეს საჭირო პროცესებს, როგორც არის, მაგალითად, აპელაციის უფლება. მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ამ მიმართულებით არის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის დოკუმენტი „კანონის უზენაესობის ინსტრუმენტები კონფლიქტის შემდგომი სახელმწიფოებისთვის, შემოწმება: სამოქმედო ჩარჩო“;
- პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსახლეობას ღიად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია და საშუალება უნდა ჰქონდეს, გამოხატოს თავისი შეხედულება. ვინაიდან ქალებს ხშირად აქვთ განათლების უფრო დაბალი დონე და ნაკლები შეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ქალებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად საინფორმაციო კამპანიებში გამოყენებული უნდა იქნეს

ალტერნატიული მეთოდები, მათ შორის თემის დონეზე;

- ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება იყოს ქალთა სათემო ორგანიზაციები, ვინაიდან ისინი კარგად იცნობენ ხოლმე თემის ცალკეულ წევრებს;
- პროგრამამ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობა და დაცვა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც შეატყობინებს მისი უფლებების დარღვევის შესახებ. ამ ადამიანების ვინაობის გაუმჟღავნებლობა, განსაკუთრებით კი სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში, არსებითაა შემონეშების პროცესების წარმატებისათვის. ზოგ შემთხვევაში დამნაშავეები არ „მონადებოდნენ“ სამაგიეროს გადახდის შიშით და მონშეთა დაცვის სუსტი მექანიზმების არსებობის გამო.²⁹ კონფიდენციალურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა და გამოყენება. იმ პროგრამებსა და დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან, შეუძლიათ ხელი შეუწყონ სექსუალურ ძალადობაში დამნაშავე პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და გაცვლას;
- სექსუალური და სხვა სახის ძალადობის მსხვერპლები უნდა გაიგზავნონ მხარდაჭერა და სამედიცინო ცენტრებში;
- შემონეშების პროცესს თვალყური უნდა ადევნონ დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა;
- უნდა მოხდეს შემონეშების პროცესის დაკავშირება გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების პროცესებთან, მათი არსებობის შემთხვევაში, როგორც არის სიმართლის დადგენის და კომპენსაციის გადახდის პროგრამები;
- შემონეშება ინსტიტუციური რეფორმის ერთი ასპექტია, რომელიც რეფორმის ეფექტიანობა და სათანადოდ შემუშავებულმა სტრატეგიამ რეფორმის ფართო კონტექსტის შემადგენელ ნაწილად უნდა აქციოს. სხვა ასპექტებს მიეკუთვნება შიდა ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარება, საგარეო ზედამხედველობა და ტრენინგი გენდერისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.

დონორ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ საგარეო უშიშროების ძალები ეფექტიანად შემონეშებას ახორციელებდნენ სექსუალურ ძალადობასთან და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით. მსგავსი ზომები შეიძლება შეტანილი იქნეს დონორი ქვეყნების 1325/1829 ეროვნულ სამოქმედო გეგმებში. აშშ-ის კონგრესი, მაგალითად, კრძალავს საგარეო უშიშროების ძალებისთვის წვრთნისა და აღჭურვილობის დაფინანსებას, თუ სახელმწიფო დეპარტამენტს აქვს სარწმუნო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულმა ძალებმა ჩაიდინეს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები. ეს აკრძალავს მოითხოვს სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის დეპარტამენტის ოფიციალური პირებისგან, შეამონშონ, ხომ არ არის სარწმუნო მონაცემთა ბაზებში დაფიქსირებული დაფინანსების მიღების მსურველი ქვედანაყოფების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.³⁰ თუ უშიშროების ძალები კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ სიტუაციაში მყოფ ქვეყნებში ვერ შეამონშებენ საკუთარ წევრებს სექსუალურ ძალადობასა და საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა დარღვევებზე, მათ არ უნდა მიიღონ საერთაშორისო დახმარება.

4.4. პოლიციის სისტემის რეფორმაში

პოლიციის რეფორმა არის პოლიციის ორგანიზაციის შეცვლა ან ტრანსფორმირება პროფესიონალურ და ანგარიშვალდებულ პოლიციის სამსახურად, რომელიც ადგილობრივი თემების საჭიროებებს და დემოკრატიულ ნორმებს

აკმაყოფილებს და შეთავსებადია კარგი მართვის პრინციპებთან.³¹ პოლიციის რეფორმის მაგალითებია:

- პოლიციისათვის მანდატებისა და ოპერაციული პროცედურების თავიდან განსაზღვრა;
- პოლიციის ძალების დემილიტარიზაცია;
- რიგითი თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება და მათი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნა.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული ოთხი რეზოლუცია აწესებს პოლიციის რეფორმის პროცესებთან დაკავშირებულ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს:

- სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს, მათ შორის ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვას და პატივისცემას;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების განწევა;
- იმ პირების დევნა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე შეიარაღებული კონფლიქტის, გენოციდის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი და ომის დანაშაულების დროს.
- პოლიციის ინსტიტუციებში გადანაცვლებათა მიღების დონეზე ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობა;
- შემონეშება, რომელიც განხილულია 4.3 ქვეთავში.

იმ ქვეყნების დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც პოლიციის თანამშრომლებს მიავლენენ გაეროს მშვიდობისმყოფელთა ძალების შემადგენლობაში, განხილულია 4.6 ქვეთავში.

სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობა გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით

გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების ქალებზე გავლენის საკითხებზე მუშაობენ, დაადგინა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს „ქალთა მიმართ ძალადობა მიღებულ ნორმად ითვლება“.³² სექსუალური და ოჯახში ძალადობა გრძელდება და იზრდება კონფლიქტის შემდგომ პერიოდშიც, რასაც იწვევს იარაღის არსებობა, ტრავმა ოჯახის მამაკაც წევრებს შორის, სამსახურის, თავშესაფრის და ძირითადი მომსახურების არარსებობა.³³ შემოსავლის წყაროს არარსებობა და კონფლიქტის შედეგად ძირითადად მამრობითი სქესის საერთაშორისო პერსონალის შემოღინება ქალებს და გოგონებს სექსუალური ექსპლოატაციისა და ტრეფიკინგის საშიშროებას უქმნის. ზოგიერთ პოსტკონფლიქტურ ქვეყანაში „მკველელობა ოჯახის ღირსების აღდგენის მიზნით“ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

პოსტკონფლიქტურ კონტექსტში ქალების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობა უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ფაქტორებს და მოიცავდეს ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვას ორიენტირებულ ღონისძიებებს.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 8; რეზოლუცია №1889, მუხლი 10

სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს, განხილულია სახელმძღვანელოში პოლიციის რეფორმა და გენდერი.

რეზოლუციებში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გულისხმობს ცვლილებას ოთხი მიმართულებით:³⁴

ჩანართი 6: რჩევები ტრენინგისთვის

- კონფლიქტით დაზარალებულ ბევრ ქვეყანაში პოლიციის გენდერულ საკითხებზე ტრენინგისთვის გამოყენებული იყვნენ ქალთა ჯგუფები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს კონკრეტული გამოცდილების შემოტანას პოლიციის ტრენინგში და ნდობის ჩამოყალიბებას პოლიციასა და მოსახლეობას შორის.
- ტრენინგი განკუთვნილი უნდა იყოს ქალი პოლიციელებისთვის. 2008 წელს ჩატარდა ორკვირიანი ტრენინგი 32 ქალი პოლიციელისთვის ავღანეთის ჰერატისა და ბადის რაიონებიდან. ტრენინგი მოიცავდა როგორც იურიდიულ საკითხებს, როგორცაა ქვეყნის კოდექსი, ძალის გამოყენება და ადამიანის უფლებები, ასევე ტექნიკურ და ტექნიკურ საკითხებს, როგორცაა სახლის გაჩხრეკვა, ხელბორკილების გამოყენება, პირველადი დახმარება და საკუთარი თავის დაცვა. (EUROPOL-Serving Afghanistan, ელექტრონული გაზეთი (ქვეყნდება ორ კვირაში ერთხელ), 22 დეკემბერი, 2008, 2-3.
- <http://www.eupol-afg.eu/pdf/4.pdf>
- როდესაც ტრენინგს ატარებს მონვეული სააგენტო, მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებს მიეცეთ უფლება და შესაძლებლობა, გამოიყენონ ახლად შეძენილი უნარები. გაეროს სტაბილიზაციის ძალებმა ჰაიტში ტრენინგი ჩაუტარეს კვალიფიცირებულ ქალ პოლიციელებს გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა ტრენინგის შემდეგ ქალებს მიეცათ ადმინისტრაციული ხასიათის დავალებები და არა სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების ფუნქცია, რაც შეძენილი უნარების გამოყენების საშუალებას მისცემდა. მათ არანაირი კონტაქტი არ ჰქონდათ მსხვერპლებთან (პირსონის მშვიდობისმყოფელთა ცენტრი, მრგვალი მაგიდის ანგარიში: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820: განხილვა გაეროს ქალ პოლიციელებთან, რომლებიც მშვიდობისმყოფელთა მისიებში არიან მივლინებულნი, 2009, 4)

მანდატი

- უნდა მოხდეს გენდერული ძალადობის ოფიციალური კრიმინალიზაცია და ქალთა უფლებები დაცული უნდა იყოს კანონით.
- პოლიციას უნდა ჰქონდეს სპეციალური მანდატი და შესაბამისი აღჭურვილობა, რათა შეძლოს მონაცვლადი მოსახლეობის, როგორცაა იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები და ეთნიკური ან სექსუალური უმცირესობები, დაცვა გენდერული ძალადობისგან.

სამუშაო პრაქტიკა, ნახალისების სისტემები და შეფასების სისტემა

- პოლიციას უნდა ესმოდეს ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, დონე და სიმძიმე და სერიოზულად უნდა მოეკიდოს პრევენციის, დაცვისა და გამოძიების ფუნქციას. გენდერული ასპექტები გათვალისწინებული უნდა იყოს საბაზისო ტრენინგში და გატარებული უნდა იქნეს ღონისძიებები პოლიციაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კულტურის დასამკვიდრებლად.
- უნდა განხორციელდეს სიღრმისეული ტრენინგი ისეთ

დანაშაულებზე რეაგირების პრინციპებთან დაკავშირებით, როგორცაა ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (იხ. ჩანართი 6).

- ოქმები უნდა არეგულირებდეს გენდერული ხასიათის ძალადობაზე რეაგირების საკითხს. გენდერული ხასიათის ძალადობაზე რეაგირების კარგი მაგალითებია: მოძალადის სავალდებულო დაპატიმრება მართლზომიერი ეჭვის დროს (იმის მაგივრად, რომ გამოიყენო პოლიციელის უფლება, დაარწმუნო ქალი, დაბრუნდეს მოძალადე პარტნიორთან), ზემდგომი ოფიცისთვის ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება და მსხვერპლის გაგზავნა სამედიცინო და სხვა დამხმარე სამსახურებში.³⁵
- ისეთმა სპეციალიზებულმა დანაყოფებმა, როგორცაა „ქალთა პოლიციის განყოფილებები“ და „ოჯახების დახმარების განყოფილებები“, შეიძლება გააუმჯობესოს რეაგირება ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობაზე, როგორც ეს ხდება ავღანეთში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კოსოვოში, ლიბერიაში, ნიკარაგუაში, სიერა ლეონეში (იხ. ჩანართი 7), რუანდაში და ტიმორ-ლესტში. აღნიშნული დანაყოფები, უმეტეს შემთხვევებში, დაკომპლექტებულია ქალი პოლიციელებით, ან ქალებითა და მამაკაცებით, რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებული სექსუალური დანაშაულების მსხვერპლებთან ურთიერთობაში და ეფექტიანი გამოძიების წარმართვაში. არსებობს დიდი რაოდენობით ფაქტები – მათ შორის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინდონეზიაში და სიერა ლეონეში – რომ სექსუალური ძალადობის ქალი მსხვერპლები უფრო გახსნილები არიან ქალ პოლიციელებთან ან ქალთა პოლიციის განყოფილებებში, ვიდრე მამაკაც პოლიციელებთან ჩვეულებრივ პოლიციის განყოფილებებში.³⁶
- ნახალისების სისტემამ უნდა წახალისოს პოლიციის ქმედებები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს, ხოლო სანქციონების სისტემამ უნდა მოახდინოს გენდერული თანასწორობის მანდატთან შეუსაბამო ქმედების დასჯა. უნდა არსებობდეს ნახალისების სისტემა, რათა პოლიციის პერსონალს სტიმული ჰქონდეს, იმუშაოს სპეციალურ გენდერულ დანაყოფებში. ნახალისების ფორმა შეიძლება იყოს: დანაწარმება, საქმიანობის გაშუქება, საჯარო აღიარება და ფსიქო-სოციალური დახმარება. ლიბერიაში „ქალებისა და ბავშვების დაცვის დანაყოფი“ ითვლება პოლიციის ელიტარულ განყოფილებად და იქ მუშაობა პრესტიჟულია. ნაწილობრივ ეს ხდება იმის გამო, რომ დონორთა დახმარებით აღნიშნული დანაყოფები უკეთ არის აღჭურვილი სხვა დანაყოფებთან შედარებით.³⁷
- საქმიანობის შეფასების სისტემით უნდა მოხდეს თანამშრომლების მიერ გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვის აღრიცხვა და იმ თანამშრომელთა წახალისება, რომლებიც იცავენ აღნიშნულ პრინციპებს.

პერსონალის შემადგენლობა

- პოლიციის ძალებში ქალების აყვანა მნიშვნელოვანი ნაბიჯია საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცებისათვის მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში.

ანგარიშვალდებულების სისტემები

- ქალთა სამოქალაქო ჯგუფები ჩართულები უნდა იყვნენ უსაფრთხოების სამსახურების სამოქალაქო მედამხედველობის მექანიზმებში (მაგ., პოლიციის სამეთვალყურეო საბჭოები, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიები, პოლიციისა და საზოგადოების დამაკავშირებელ კომიტეტები).
- უნდა არსებობდეს მკაცრი დისციპლინარული მექანიზმები პოლიციის მიერ საზოგადოების წევრების ან სხვა პოლიციელების მიმართ ჩადენილი გენდერული ძალადობის ან დისკრიმინაციული ქცევის შემთხვევებში.

ჩანართი 7: სიერა ლეონეს „ოჯახების დახმარების განყოფილებები“

სიერა ლეონემ „ოჯახების დახმარების განყოფილებები“ 2001 წელს შექმნა. ოჯახების დახმარების განყოფილებები განლაგებულია პოლიციის ძირითად განყოფილებებში მთელი ქვეყნის მასშტაბით და დავომპლექტებულია სპეციალურად მომზადებული ქალი და მამაკაცი პოლიციელებით, რომლებიც მუშაობენ გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლებთან. ამ განყოფილებებმა ჩამოაყალიბეს რეფერალური სისტემა უფასო სამედიცინო და იურიდიული მომსახურებისთვის, ისინი ასევე ჩართულები არიან ცნობიერების ამაღლების საქმიანობაში, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორცაა სექსუალური ძალადობა, შიდა-ი, ტრეფიკინგი და ქალთა სასქესო ორგანოების დაცვა.

ადრე ქალები იშვიათად მიმართავდნენ პოლიციას ასეთი სახის დანაშაულების დროს. ოჯახების დახმარების განყოფილებათა შექმნამ საშუალება მისცა მათ, მიმართონ პოლიციას გენდერული ძალადობის შემთხვევებში. 2003 წელს ოჯახების დახმარების განყოფილებებმა მიიღეს და გამოიკვლიეს სექსუალური და ფიზიკური ძალადობის 3 121 საქმე, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა იყო. აღნიშნული ზრდა ცნობიერების ამაღლების და ოჯახების დახმარების განყოფილებების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის შედეგი იყო. ვარდა ამისა, „იუნისეფის“ მიერ განხორციელებულმა ოჯახების დახმარების განყოფილებათა შეფასებამ აჩვენა, რომ სექსუალურ ექსპლოატაციასთან და ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმა შემცირდა და საზოგადოება უკეთ არის ინფორმირებული არსებული სერვისების შესახებ.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა

ბევრ ქვეყანაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლები აცხადებენ, რომ პოლიციას არ სურს ასეთი საქმეების გამოძიება და მართლმსაჯულებისთვის გადაცემა. პოლიცია სექსუალურ ძალადობას არ ანიჭებს პრიორიტეტს სხვა სახის ძალადობასთან შედარებით, ან თვლის, რომ სექსუალური ძალადობა ოჯახის ან თემის შიდა საქმეა და მხარეებს შორის უნდა მოგვარდეს. ხშირად არ არსებობენ ქალი პოლიციელები, რომლებიც დაკითხავდნენ მსხვერპლებს და დაეხმარებოდნენ საჩივრის შეტანაში. არის შემთხვევები, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ცუდი მოპყრობის, დისკრიმინაციის და პოლიციელების მხრიდან სექსუალური ძალადობის ობიექტები ხდებიან. იქ, სადაც ხორციელდება გამოძიება, ხშირად ირღვევა მსხვერპლების განცალკევებით ყოფნის უფლება, ხდება ღირსების შეურაცხყოფა, მსხვერპლებს სთხოვენ „დამტკიცონ“, რომ უწევდნენ წინააღმდეგობას მოძალადეს, აღწერონ მისი ტანსაცმელი ან ქვევის მანერა, რის შედეგადაც ბრალდება მსხვერპლზე გადადის.³⁸

უშიშროების საბჭოს №1820 და №1880 რეზოლუციები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ შეიარაღებული კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობაზე. ეს მოიცავს სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს: მომსახურების უზრუნველყოფა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და მთელი პროცესის განმავლობაში მათ მიმართ ღირსეული მოპყრობა.

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820, მუხლები 4 და 13, და რეზოლუცია №1888, მუხლები 6 და 13

აღნიშნული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოიცავს სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს გენ-

დერულ ასპექტებს, მათ შორის სპეციალური ტრენინგების ჩატარებას, სპეციალური რეაგირების დანაყოფების შექმნას და რეფერალური სისტემების ჩამოყალიბებას. სექსუალური ძალადობისგან დაცვისა და მასზე რეაგირებისათვის უნდა გამოიყოს საგანგებო რესურსები. კერძოდ:

- სპეციალური პოლიციის დანაყოფები, რომლებიც სექსუალურ ძალადობაზე მუშაობენ (იხ. ჩანართი 8).
- სტრატეგიული გეგმები სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოსაძიებლად და ამ მიზნისთვის აღჭურვილობის და მანქანების გამოყოფა.
- სექსუალური ძალადობის საქმეებზე რეაგირების სახელმძღვანელო მითითებები. რეაგირების დროს უნდა მოხდეს მსხვერპლთა უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურებით, უსაფრთხო საცხოვრებელით, უფასო იურიდიული დახმარებით და სხვა შესაბამისი მომსახურებით.
- მსხვერპლთა უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ საჩივრის შეტანა შიშის გარეშე. პოლიციის განყოფილებების ფიზიკური ინფრასტრუქტურა დიდ როლს თამაშობს აღნიშნულის უზრუნველყოფაში, ისევე, როგორც მსხვერპლთა ღირსების დაცვაში. მაგალითად: უფასო ცხელი ხაზი გაუპატიურების მსხვერპლთათვის; სპეციალური მანქანები, რომლებიც ემსახურება გენდერის განყოფილებებს; სასწრაფო დახმარების მანქანები; სამედიცინო შემონმების ცალკე ოთახები და ცალკე ოთახები დაკითხვებისთვის.³⁹
- დაკითხვის მეთოდებმა და ანგარიშების ფორმებმა და კითხვარებმა არ უნდა შელახონ ქალების ღირსება (მაგ. „ქალწულობის შემონმებით“) და მათ ცხოვრებაში უხეშად არ უნდა ჩაერიონ. სექსუალური თავდასხმისგან თავდაცვის საშუალებები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.⁴⁰

შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ქალებისა და გოგონების მიმართ დანაშაულების ჩამდენთა დასჯა

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების მთავარი მიმართულებაა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების მიმართ დანაშაულის ჩამდენთა დაუსჯელობის პრობლემის მოგვარება:

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 11, და რეზოლუცია №1889, მუხლი 3

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 11, და რეზოლუცია №1889, მუხლი 3

პოლიციის უნარი, მოახდინოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების მიმართ ჩადენილი ძალადობის გამოძიება, ხშირად უგულებელყოფილია. მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიაში, სადაც ტარდება გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და სამხედრო დანაშაულების საქმეების განხილვა, პოლიციის ძალებს არ გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები, რომ განახორციელონ კომპლექსური გამოძიება. ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეების გადმოცემით, პოლიციის გამოძიებლებმა ცუდად იციან, ან საერთოდ არ იციან, შესაბამისი კანონები და მათი მოთხოვნები. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მათ არ გააჩნიათ გამოძიებისთვის საჭირო უნარები.⁴¹

პოლიციელს, რომელიც იძიებს შეიარაღებულ კონფლიქტში ქალებისა და გოგონების მიმართ ჩადენილ ძალადობას, გენოციდს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და სამხედრო დანაშაულებს, ესაჭიროება ტრენინგი შემდეგ საკითხებში:

ჩანართი 8: სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მომსახურება ტიმორ-ლესტში

2001 წელს ტიმორ ლესტის ეროვნულ პოლიციაში შეიქმნა „დაუცველ პირთა განყოფილება“ გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობის და ბავშვებზე ძალადობის საქმეებზე სამუშაოდ და გამოსადიებლად. დაუცველ პირთა განყოფილება წარმოადგენს სპეციალიზებულ განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს პოლიციელებს როგორც გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე მომსახურების მიწოდებლებისათვის. შედეგად ხელი შეეწყო პოზიტიურ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიციას შორის, ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის და კონკრეტულ საქმეებზე კონსულტაციების მეშვეობით.

უკვე შექმნილია ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის და ბავშვთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ქმედითი ქსელი. ქსელი მოიცავს „უსაფრთხო ოთახს“ ეროვნულ საავადმყოფოში, სამედიცინო და კრიმინალური შემთხვევების ჩატარებას, ფსიქო-სოციალურ მომსახურებას, თავშესაფარს და იურიდიულ მომსახურებას. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულები არიან აღნიშნული მომსახურებების უზრუნველყოფაში, ისევე, როგორც სამოგადოების განათლების და ცნობიერების ამაღლების საქმეში.

წყარო: UNFPA, ტექნიკური დავალება: საერთაშორისო რეფერალური ქსელის პროექტის კოორდინატორი: ქვეპროექტი გენდერული ძალადობა, 2010, <http://ocha-gwapps1.unog.ch/rw/res.nsf/db900SID/OCHA-83Z4LC?OpenDocument>;
UNFPA, გენდერული ძალადობა ტიმორ-ლესტში: კონკრეტული საქმე, 2005. http://www.unfpa.org/women/docs/gbv_timorleste.pdf.

- საერთაშორისო სისხლის სამართლის და ჰუმანიტარული კანონების ელემენტარული ცოდნა, მისთვის გამოსაყენებელ კონტექსტში;
- ტრავმირებული მოწმეებისა და მსხვერპლების მართებულად დაკითხვის ტექნოლოგიები (იხ. ჩანართი 9);
- გამოძიების ტექნიკა და ტექნოლოგიები (დნმ, სასამართლო ექსპერტიზა, დანაშაულის ადგილის ანალიზი/შესწავლა, დაკითხვა და ექსპერტიზა);
- გაყინული საქმეების გამოძიების ტექნოლოგიები;
- მოწმეთა დაცვა, გამოძიების ეტაპზე პრევენციული სტრატეგიების ჩათვლით, რაც ამცირებს მოწმეების დაშინების შესაძლებლობას.⁴²

პოლიციის დაწესებულებებში გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა

პოლიციის დაწესებულებებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ერთ-ერთი ასპექტია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციებით განსაზღვრული უფრო ფართო ვალდებულებისა, რომელიც გულისხმობს კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების ინსტიტუტებსა და მექანიზმებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას:

იხ: უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N°1325, მუხლი 1

პოლიციის ძალებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის დადებითი მხარეები და ქალების პოლიციაში აყვანისა და შენარჩუნების სტრატეგიები განხილულია სახელმძღვანელოში *პოლიციის რეფორმასა და გენდერზე*.

უშიშროების საბჭოს N°1325 რეზოლუციაში ყურადღების გამახვილება „გადაწყვეტილებათა მიღება ყველა დონეზე“ გულისხმობს, რომ ქალთა წარმომადგენლობა მხოლოდ დაბალ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ მაღალ დონეებზეც. ამ თავში განხილულია გადაწყვეტილებათა მიღების მაღალ დონეზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის საკითხი.

ჩანართი 9: ტრენინგი პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც მუშაობენ ომთან დაკავშირებული დანაშაულების მოწმეებთან და მსხვერპლებთან

უეთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE-ODIHR) შექმნა ტრენინგის მოდული საერთაშორისო სისხლის სამართლის და ჰუმანიტარულ კანონმდებლობაზე პროკურორებისთვის, გამომძიებლებისთვის/პოლიციელებისთვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისთვის, რომლებიც მუშაობენ ომთან დაკავშირებული დანაშაულების მოწმეებთან და მსხვერპლებთან.

მონაწილეებს ასწავლიან ტრავმირებული მოწმეების და მსხვერპლების დაკითხვის ტექნოლოგიებს, რომლებსაც შემდეგ ისინი პრაქტიკულად იყენებენ კონტროლირებულ გარემოში. ტრენინგის თემატიკა:

1. დაკითხვის ზოგადი მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა
2. მოწმეთა დაცვა:
 - a. დაცვის საჭიროებების შეფასება
 - b. საკანონმდებლო ჩარჩო
 - c. დაცვის საშუალებების გამოყენება (მაგ. ხმის შეცვლა, ფსევდონიმი)
3. პირდაპირი, ჯვარედინი და, საჭიროების შემთხვევაში, ხელმეორე დაკითხვის ფარგლები
4. კითხვების ფორმები და როდის უნდა გამოიყენონ ისინი (ლია, დახურული, მიმანიშნებელი)
5. მოწმეების, ექსპერტების და აგრესიული მოწმეების დაკითხვის ტექნოლოგიები
6. ტრავმირებული მოწმეების შესაბამისი და ეფექტიანი დაკითხვა
7. მოწმეთა დაცვა და დაცვის უზრუნველყოფის გზები
8. მეორადი ტრავმის ამოცნობა და მასთან გამკლავების გზები

წყარო: OSCE ODIHR, „დახმარება გარდამავალ პროცესში: მიღებული გაკვეთილები და საუკეთესო პრაქტიკა ცოდნის გადაცემის საქმეში“, 2009 წ. სექტემბერი, 57. http://www.osce.org/documents/odihr/2009/09/39685_en.pdf

პოლიციის სამსახურების უმეტესობაში ქალები არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი დაბალ დონეზე. პოლიციის რეფორმის დროს შეიძლება განხორციელებული იქნეს მთელი რიგი ღონისძიებებისა, რათა გაიზარდოს ქალთა რაოდენობა პოლიციის სამსახურების მაღალ თანამდებობებზე. ეს ღონისძიებებია:

- ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა ქალების მხარდასაჭერად, როგორცაა ქალი პოლიციელების ასოციაცია, სასწავლო პროგრამები და საკონტაქტო პირები ქალებისათვის, ასევე ქალების მიერ აღნიშნული მექანიზმების მართვის ხელშეწყობა. გაეროს მისიამ ლიბერიაში ჩამოაყალიბა გენდერული პოლიტიკა ლიბერიის ეროვნული პოლიციისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება არა მარტო ქალი პოლიციელების აყვანა და მომზადება, არამედ იმის უზრუნველყოფაც, რომ მათ არ ტოვებდნენ დაბალ საფეხურებზე. პოლიციის იერარქიაში ქალებს ხელმძღვანელი როლი ეკისრებათ და ქალ პოლიციელთა ასოციაციას აქვს პოტენციალი, ჩამოაყალიბოს ურთიერთდახმარების კულტურა;⁴³
- ქალებისთვის სასწავლო და მოსამზადებელი საშუალებების უზრუნველყოფა, რაც მათ დანინაურების საშუალებას აძლევს. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების ხელმისაწვდომობა ქალებისთვის შეზღუდულია – საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების გამო – შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინვესტირება ქალების ტრენინგში, რათა მათი განათლება და გამოცდილება უთანაბრდებოდეს მამაკაცი კოლეგების გამოცდილებას და მათ მიეცეთ საშუალება, დააკმაყოფილონ დანინაურებისთვის საჭირო კრიტერიუმები;⁴⁴

- „ოჯახის ხელშეწყობი“ პოლიტიკის მიღება, რაც საშუალებას მისცემს ქალ და მამაკაც ოფიცრებს, შეათავსონ კარიერა და ოჯახური მოვალეობები;
- ზომების მიღება პოლიციის შიგნით დისკრიმინაციული მიდგომების აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს ქალის დანინაურებას. სამხრეთ აფრიკის პოლიციის სამსახურში, სადაც თანამშრომელთა 30%-ს ქალები შეადგენენ, ქალები აცხადებენ, რომ მათ უნევთ ბრძოლა, რომ მაღალ თანამდებობებზე ისინი ისევე აღიარონ, როგორც მამაკაცები. სამსახურმა შეიმუშავა პროგრამა სახელწოდებით „მამაკაცები ცვლილებისათვის“, რათა განახორციელონ კულტურული ცვლილება ორგანიზაციაში;⁴⁵
- დანინაურების ობიექტური კრიტერიუმების შემოღება, რომლებიც ეყრდნობა უნარებისა და კვალიფიკაციის ფართო სპექტრს. მაგალითად, პრობლემის მოგვარების უნარი, საზოგადოებასთან მუშაობა და გადამისამართება სოციალურ სამსახურებზე. სამხედრო სამსახური ხშირად წარმოადგენს პოლიციაში დანინაურების კრიტერიუმს, მაგრამ ამ კრიტერიუმის მართებულობა საკამათოა და ხშირად აყენებს ქალებს არახელსაყრელ პირობებში;
- შედარება იმისა, თუ როგორ აფასებს ზემდგომი ქალი და მამაკაცი ოფიცრების საქმიანობას და იმის გარკვევა, თუ რომელ ასპექტებში იღებენ ქალები დაბალ შეფასებას, რათა გაირკვეს მიკერძოების საშიშროება ან ტრენინგის საჭიროება;
- დანინაურების კომისიებში ქალების შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფა;
- მიზნების დასახვა ქალების უფრო მაღალ რანგში მონაწილეობისთვის;
- მაღალ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობის მუდმივი მონიტორინგი.

4.5 გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

მართლმსაჯულება და უსაფრთხოება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი დაწესებულება მართლმსაჯულების რეფორმას უსაფრთხოების რეფორმისგან განცალკევებულად განიხილავს.⁴⁶ თუმცა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება (როგორც მინიმუმ) განიხილება როგორც უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ერთ-ერთი ასპექტი და გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება ახსნილია, როგორც უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებული საკითხი. სახელმძღვანელოში საგანგებოდ არის განხილული პოსტკონფლიქტურ კონტექსტში მართლმსაჯულების დაწესებულებებსა და უსაფრთხოების სექტორის სხვა ნაწილებს შორის არსებული მნიშვნელოვანი კავშირები.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა მოიცავს არა მარტო კანონების რეფორმირებას, არამედ ისეთი პოლიტიკის, პროცედურებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ კანონების პრაქტიკულ განხორციელებას და მართლმსაჯულების თანაბარ ხელმისაწვდომობას. მართლმსაჯულების რეფორმის მიზანია, ჩამოყალიბდეს:

- სამართლიანი და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული კანონები, რომლებიც ხელს უწყობს და იცავს ადამიანის უფლებებს და აღმოფხვრის მარგინალიზებული და მონყვლადი ჯგუფებისთვის არსებულ ბარიერებს;
- ქმედითი, მიუკერძოებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემა და პროკურატურა;
- კავშირები და თანამშრომლობა სახელმწიფოსა და არასამთავრობო ინსტიტუტებს შორის;

- მართლმსაჯულების სისტემის ზედამხედველობის მექანიზმები;
- სასამართლო სისტემის ადეკვატური ადმინისტრაცია/ინფრასტრუქტურა.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ოთხი რეზოლუცია განსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს და მართლმსაჯულების რეფორმის სახელმძღვანელო პრონციპებს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვას და პატივისცემას;
- სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ქალებისა და გოგონების საჭიროებებს და პრიორიტეტებს, მათ შორის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გენდერულ თანასწორობაზე დაყრდნობით;
- შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების მიმართ ჩადენილ ძალადობაზე, გენოციდზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე და სამხედრო დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების გასამართლება;
- ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების დაკმაყოფილებას კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში.

ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვის და პატივისცემის, ასევე მათი საჭიროებების და პრიორიტეტების უზრუნველყოფის ღონისძიებები

რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ მოითხოვს ისეთი სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ქალების და გოგონების უფლებათა დაცვისკენ, და რეკომენდაციას უწევს ისეთი კონკრეტული სტრატეგიების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა და გოგონათა საჭიროებებისა და პრიორიტეტების დაკმაყოფილებას, კერძოდ კი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 8, და რეზოლუცია №1889, მუხლი 10

აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- ქალთა ჯგუფების, როგორც ძირითადი პარტნიორების, ჩართვას მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესებში.
- ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების, მათ შორის ქალთა წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, განხორციელებას.
- საკონსტიტუციო რეფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას სამართლებრივი სისტემის უმაღლეს დონეებზე.
- საკანონმდებლო რეფორმას ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების განსახორციელებლად, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორცაა მინის საკუთრება, მემკვიდრეობა, გენდერული ძალადობა და სექსუალური ორიენტაცია.
- სასამართლო პროცედურების და პრაქტიკის რეფორმას, რათა არ მოხდეს ქალებისა და გოგონების პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია.
- მართლმსაჯულების სექტორის შეფასების ჩატარებას გენდერული თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს

ქალებისა და გოგონების საჭიროებები და პრიორიტეტები (იხ. სახელმძღვანელოს 4.1 ქვეთავი *მართლმსაჯულების რეფორმა და გენდერი*). მაგ. ლიბერიაში ჩატარდა მთელი რიგი კვლევებისა, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ეროვნული სამოქმედო გეგმა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (იხ. სახელმძღვანელოს ჩანართი 10 *მართლმსაჯულების რეფორმა და გენდერი*).

- სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, მოწმეებისა და მსხვერპლების დაცვის ჩათვლით.
- მოსამართლეების, პროკურორების, სხვა იურისტების და სასამართლოს პერსონალის მხრიდან დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მათ ტრენინგსა და სწავლებას ისეთ საკითხებში, როგორცაა ქალთა უფლებები და გენდერული ძალადობის საქმეების განხილვა. ქალთა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს და სხვა საერთაშორისო სააგენტოებს შეუძლიათ დახმარების განევა აღნიშნული ტრენინგების ჩატარებაში.
- ტრადიციულ ლიდერებთან, ასევე მართლმსაჯულების არაოფიციალურ და ტრადიციულ მექანიზმებთან მუშაობას, რათა მათ დაიცვან ადამიანის უფლებების, მათ შორის ქალთა უფლებების, სტანდარტები. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომუნიკაცია ტრადიციულ ლიდერებსა და ქალთა ორგანიზაციებს შორის.
- მართლმსაჯულების სექტორში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ბალანსი ყველა დონეზე.
- მუდმივ მონიტორინგს იმისა, თუ როგორ იცავს მართლმსაჯულების სისტემა ქალებისა და გოგონების უფლებებს. ბევრ ქვეყანაში მაკონტროლებელ ფუნქციას ახორციელებენ ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები, როგორცაა ქალების/გენდერული თანასწორობის კომისია ან თანასწორობაზე პასუხისმგებელი ომბუდსმენი.
- ადამიანის უფლებებზე და მათ დაცვაზე ორიენტირებულ კანონებთან და მექანიზმებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ბევრ პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში სამოქალაქო სექტორი ახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს და ტრენინგებს, როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის, ისეთ საკითხებზე, როგორცაა ოჯახში ძალადობა და იძულებითი ქორწინება.
- საშუალო რგოლის იურისტების გამოყენებას ქალთათვის არსებულ კანონებზე ინფორმაციის მისაწოდებლად.
- სასამართლოების და მოსამართლეების მიერ სოფლად მცხოვრები ქალებისა და მამაკაცებისათვის ინფორმაციის მიწოდებას.
- იურიდიულ დახმარებას ქალებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა საკუთრების უფლება მიწაზე, მემკვიდრეობა და გენდერული ძალადობა.
- სამოქალაქო საზოგადოებისთვის დახმარების განევა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისკენ ორიენტირებულ ინიციატივებში.

სხვა ღონისძიებები, როლებიც უზრუნველყოფს ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვას მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის დროს, განხილულია სახელმძღვანელოს მე-4 თავში *მართლმსაჯულება და გენდერი*.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების გასამართლება

რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ საგანგებოდ მოუწოდებს სახელმწიფოს, მოახდინონ არა მარტო კონფლიქტის დროს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულის (გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და სამხედრო დანაშაულის), არამედ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალების და გოგონების მიმართ ჩადენილი ყველა სახის ძალადობის დასჯა. პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო იმ სახელმწიფოს, სადაც ჩადენილი იქნა დანაშაული, არამედ სხვა სახელმწიფოსაც, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი იურისდიქცია.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 11; რეზოლუცია №1820, მუხლი 4; რეზოლუცია №1888, მუხლი 6; რეზოლუცია №1889, მუხლი 3

შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გასამართლებისთვის საჭიროა შესაბამისი მთავრობების პოლიტიკური ნება. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ მთავრობათა ანგარიშვალდებულების მოთხოვნის საქმეში. საერთაშორისო თანამეგობრობასაც შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მთავრობებზე გენოლაში, რათა მათ მოახდინონ აღნიშნული დანაშაულების დასჯა და გააუქმონ ამინისტია ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე. საერთაშორისო თანამეგობრობამ, იურისდიქციის ფარგლებში, ასევე უნდა იმოქმედოს პროაქტიულად იმ პირების გასამართლების უზრუნველსაყოფად, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდის აქტები, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაული ქალების წინააღმდეგ. 2009 წელს კანადის სასამართლომ კანადაში მცხოვრები რუანდელი მამაკაცი დამნაშავე ცნო გაუპატიურებაში, რომელიც მან 1994 წლის გენოციდის დროს ჩაიდინა.⁴⁷

| | |
|---|---|
| ჩანართი 10: | პროკურორების და მოსამართლეების ტრენინგი კოლუმბიაში |
| <p>2007 და 2008 წლებში კოლუმბიის რეპატრიაციისა და შერიგების ეროვნულმა კომისიამ დააფინანსა ტრენინგების მთელი სერია გენდერის საკითხებზე პროკურორებისთვის და მოსამართლეებისთვის, რომლებიც მუშაობენ გარდამავალი პერიოდის სპეციალურ ტრიბუნალებში, მართლმსაჯულებისა და მშვიდობის შესახებ 2005 წლის კანონის თანახმად, დემობილიზებული სამხედროების და პარტიზნების მიერ ჩადენილ საქმეებზე.</p> <p>სემინარებზე განხილული იქნა კანონის მოთხოვნები გენდერულ ძალადობასთან მიმართებაში. ამ სემინარების მეშვეობით ქალთა არამთავრობო ორგანიზაციები შეხვდნენ პროკურორებსა და მოსამართლეებს, რათა შემუშავებულიყო სტრატეგიები წლების წინ ჩადენილი სექსუალური ძალადობის გასამართლების საკითხებთან მიმართებაში. განხილულ საკითხთა შორის იყო მტკიცებულებების, მოწმეთა დაცვის, მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური და სხვა სახის დახმარების სტანდარტები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს თანამშრომლები და ქალთა ორგანიზაციები შეხვდნენ ერთმანეთს</p> | |

შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ეფექტიანი გასამართლება მოითხოვს სახელმწიფოში სათანადო შესაძლებლობების არსებობას - შესაბამისი სასამართლოს, პოლიციის, ციხის ინფრასტრუქტურის, სასამართლო სისტემის პერსონალის, გამოძიების უნარებისა და რესურსების, ჩანაწერების წარმოების სისტემის, მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის სისტემის და თარგმანით მომსახურების ფორმით. საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია სხვადასხვა სახის დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს აღნიშნული მექანიზმების შექმნაში (იხ. ჩანართი 10).

ბევრ ქვეყანაში, რომელიც გამოდის კონფლიქტიდან, მართლმსაჯულების რეფორმა გულისხმობს მართლმსაჯულების გარდამავალი მექანიზმების ჩამოყალიბებას, რათა მოხდეს კონფლიქტის პერიოდში ადამიანთა უფლებების დარღვევის ფართოდ გავრცელებული ან სისტემატური შემთხვევების აღმოფხვრა. გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება განხილულია სახელმძღვანელოს 5.1 ქვეთავში *მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და გენდერი*. შემოღებული გარდამავალი მექანიზმების მანდატი ნათლად უნდა მოიცავდეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

კონფლიქტის დროს ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი გასამართლების ღონისძიებები, როგორც გარდამავალი, ასევე მუდმივი მექანიზმების მეშვეობით, მოიცავს:

- ქალთა მიმართ ძალადობის განსაზღვრას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების და სისხლის სამართლის საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, სიერა ლეონეს სპეციალურმა სასამართლომ სექსუალური ძალადობის განსაზღვრებაში შეიტანა „სექსუალური მონობა“ და „იძულებითი პროსტიტუცია“.
- გასამართლების სპეციალური სტრატეგიის ჩამოყალიბებას კონფლიქტის დროს ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის.
- ყველა თანამშრომლისთვის ტრენინგის ჩატარებას გამოძიების, დაკითხვის და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის საკითხებში.
- იმის უზრუნველყოფას, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუშაობდნენ სპეციალურად გამოყოფილი გამოძიებლები და პროკურორები, მათ შორის ქალი გამოძიებლები.
- ზომების მიღებას მსხვერპლთა უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ, ისევე, როგორც მონმეთა დაცვის და განსახლების პაკეტის უზრუნველყოფას.

ღონისძიებები კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად

რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრავს სახელმწიფოთა მთელ რიგ ვალდებულებებს კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებაში: კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი დაცვა კანონის შესაბამისად და მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობა; მათ უნდა მოეპყრან ღირსეულად მართლმსაჯულების მთელი პროცესის განმავლობაში; ისინი უნდა იყვნენ დაცულები; უნდა მიიღონ დახმარება და მომსახურება. მართლმსაჯულების რეფორმის ნებისმიერ პროცესში საჭიროა იმის გაგება, თუ რას მიიჩნევენ მართლმსაჯულებად თავად სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, და ეს შეხედულებები გათვალისწინებული უნდა იქნეს.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820, მუხლები 4 და 13; რეზოლუცია №1888, მუხლები 6, 13 და 17

ბევრ მოცემულ თავეში განსაზღვრული სტრატეგიები ქალთა და გოგონათა მიმართ ჩადენილი ძალადობის გასამართლებასთან დაკავშირებით რეზოლუციების მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაწილობრივი საშუალებაა. სექსუალური ძალადობის საქმეებზე მუშაობის სხვა სტრატეგიებია:

- საჯარო კამპანიები ქალთა უფლებების პროპაგანდის და სექსუალური ძალადობის დანაშაულისადმი ტოლერანტული მიდგომის აღმოფხვრის მიზნით (იხ. ჩანართი 11).

- ძალადობის მსხვერპლთა კეთილდღეობის, უსაფრთხოების და ღირსების უზრუნველყოფა, მათ შორის ინფორმაციის და დახმარების, ასევე მონმეთა მომზადების ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- სასამართლო დარბაზში შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც მონმეებს ეპყრობიან დელიკატურად, პატივისცემით და მზრუნველობით.
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან დაკავშირება, მათ შორის სოფლებშიც, ინფორმაციის მისაწოდებლად გასამართლების პროცესებზე, იურიდიულ დახმარებაზე, ასევე სამედიცინო დახმარებაზე, კონსულტირებაზე, თავშესაფარზე და მსხვერპლებისთვის არსებულ სხვა დამხმარე სისტემებზე.
- სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური პროცესების წარმართვას და რომლებსაც ეყოლებათ სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები.
- სასამართლოების განთავსება დახმარებისა და იურიდიული მომსახურების სამსახურებთან ერთად (იხ. სახელმძღვანელოს 4.3 ქვეთავი *მართლმსაჯულების რეფორმა და გენდერი*).
- მტკიცებულებების წარდგენისა და სხვა პროცედურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა – მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორცაა ვარაუდები სექსუალურ აქტზე თანხმობის შესახებ და მტკიცებულებათა დასაშვებობა სექსუალურ ძალადობამდე ან მის შემდეგ ქცევასთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ მტკიცებულებების წარდგენის და სხვა პროცედურები, ასევე სასამართლო დარბაზი და პროცესები არ უქმნიდნენ საფრთხეს მსხვერპლის ღირსებას და უსაფრთხოებას. ამის ერთი მაგალითია მსხვერპლისთვის შესაძლებლობის მიცემა, ჩვენების მიცემისას იდგეს ევრანის უკან ან დაელოდოს გამოძახებას ცალკე ოთახში.

ჩანართი 11: აკრძალვების დამსხვრევა

არასამთავრობო ორგანიზაცია **Medica Kosova** ცდილობს, დაამსხვროს ის აკრძალვები (ტაბუდადებული თემები), რომლებიც არსებობს კოსოვოს ომის დროს სექსუალური ძალადობის საკითხებზე, კამპანიების, მედიაში სტატიების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით, რომლებიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ომის დროს გაუპატიურებული ქალების მდგომარეობის შესახებ.

Medica Kosova ასევე მუშაობს კოსოვოს ქალთა ქსელის სხვა ორგანიზაციებთან, რათა ომის დროს გაუპატიურებული ქალების კომპენსაციის ფონდის ჩამოყალიბების ღონისძიება მოახდინოს.

წყარო: **Medica Mondiale, Kosova**, <http://www.medicamondiale.org/en/projekte/kosova/>

რეზოლუციების მიხედვით, გასამართლება წარმოადგენს მართლმსაჯულების რეფორმის ერთ-ერთ საშუალებას დარღვევებზე რეაგირებისთვის. მართლმსაჯულება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შეიძლება ასევე მოითხოვდეს „სიმართლის თქმის“ გარკვეულ პროცესს და/ან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარების სხვა სიმბოლურ ღონისძიებებს. სიმართლისა და შერიგების პროცესებში და რეაბილიტაციის პროგრამებში განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს სექსუალურ ძალადობაზე, შესაბამის პროცედურებზე და ინფორმირებაზე. სიმართლისა და შერიგების კომისიებმა ყურადღება უნდა დაუთმონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის აუცილებლობას ჩვენების მიცემის დროს. მაგალითად, სიერა ლეონეში სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს დაკითხვას მხოლოდ ქალი ოფიცრები უტარებდნენ, გარდა ამისა, მსხვერპლებს ჰქონდათ არჩევანის საშუალება - ჩვენება დახურული თუ საჯარო განხილვის დროს მიეცათ, ასევე ისინი თავად წყვეტდნენ, მათი ჩვენებები კონფიდენციალური

უნდა ყოფილიყო თუ არა. მოწმეები, რომლებიც წარდგენენ დახურულ განხილვაზე, უზრუნველყოფილი იყვნენ საკვებით, სასმელით, სამედიცინო დახმარებით, ტრანსპორტირებით მოსმენის ადგილამდე და უკან და, საჭიროების შემთხვევაში, დასაძინებელი ადგილით. ამის მსგავსად, რეაბილიტაციის პროგრამები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს, როგორც საკუთარი ბენეფიციარების ერთ-ერთ კატეგორიას. ფსიქო-სოციალური და სამედიცინო მომსახურება შეიძლება ჩართული იყოს პროგრამაში როგორც რეაბილიტაციის ერთ-ერთი საშუალება. რეაბილიტაციის სიმბოლური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მიმართ არსებული სოციალური სტიგმის, როგორცაა საზოგადოებიდან გარიყვა, ქმრის მიერ მითოვება, აღმოფხვრა.⁴⁸

4.6 მომზადება სამშვიდობო მისიებში პერსონალის გაგზავნამდე

რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ ამზადებენ სახელმწიფოები პერსონალს სამშვიდობო მისიებში გასაგზავნად. რეზოლუციები მოუწოდებს სახელმწიფოს:

- ჩართონ გენდერული საკითხები სამშვიდობო მისიებში გასაგზავნი სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის პერსონალის ტრენინის პროგრამებში;
- მიიღონ ზომები სექსუალური ექსპლოატაციის და ძალადობის პრევენციისთვის და უზრუნველყონ შესაბამისი პასუხისმგებლობა ასეთი სახის ქმედებებისთვის;
- მიიღონ ზომები სამშვიდობო მისიებში მეტი ქალების შესაყვანად.

სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის პერსონალის ტრენინგი

რეზოლუციები იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის პერსონალის ტრენინის პროგრამაში სამშვიდობო მისიებში გაგზავნამდე და თვით მისიებში. ეს რეკომენდაციებია:

- ქალთა ჩართვა მშვიდობის დაცვის და სხვა სამშვიდობო ღონისძიებებში ყველა დონეზე;
- ქალთა დაცვა, უფლებები და განსაკუთრებული საჭიროებები;
- სამოქალაქო პირების, მათ შორის ქალებისა და გოგონების, დაცვა;
- გაეროს მხრიდან ნულოვანი ტელერანტობა სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისადმი;
- კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის პრევენცია;
- ინფორმაციის გავრცელება შიღს-ს შესახებ.

იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, მუხლი 6; რეზოლუცია №1820, მუხლები 7 და 8; რეზოლუცია №1888, მუხლები 19 და 21

მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობისმყოფელთა ტრენინგი ძირითადად შესაბამისი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი (DPKO) შეიმუშავა ტრენინგის მასალები სახელმწიფოებისთვის. მათ შორისაა ტრენინგის პაკეტი სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის პერსონალისთვის (იხ. ჩანართი 12). აღნიშნულ

მასალებს იყენებენ ტრენინგის ორგანიზაციები, რომლებიც სამშვიდობო საკითხებზე მუშაობენ. გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი ტრენინგის ეროვნულ და რეგიონულ ცენტრებს ასევე უზრუნველყოფს რჩევებით და დამატებითი ღონისძიებებით, როგორცაა ტრენინგების ტრენინგი.⁴⁹

ჩანართი 12: მშვიდობისმყოფელთათვის ქალებთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან მიმართებაში ტრენინგის მასალის მაგალითები

DPKO-ს ტრენინგის ძირითადი სახელმძღვანელო სამშვიდობო მისიებში გაგზავნამდე, 2009. http://pbpu.unlb.org/PBPS/Pages/Public/library.aspx?ot=2&scat=393&menukey=4_5_2
(ნაწილი 3 მოიცავს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების და ბავშვთა დაცვის საკითხებს; ნაწილი 4 – სექსობრივი გზით გადამდები დაავადებების და შიღს-ის საკითხებს)

DFID/DAFI “გენდერი და მშვიდობისმყოფელთა ტრენინგის კურსი”, 2002. <http://www.genderandpeacekeeping.org>

გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის მიერ 2008 წელს ჩატარებულმა ტრენინგის საჭიროებების შეფასებამ აჩვენა, რომ ზოგადად სამშვიდობო მისიებში გაგზავნამდე ჩატარებულ ტრენინგებში სექსუალური ექსპლოატაციის და ძალადობის, ასევე შიღს-ის საკითხები გათვალისწინებული იყო.⁵⁰ მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის საკითხებს საკმარისი დრო ეთმობა. ტრენინგი იძლევა შესაძლებლობას, სიღრმისეულად იქნეს განხილული გაეროს კოდექსით გათვალისწინებული წესები, მათ შორის ისეთი ცნების მნიშვნელობა, როგორცაა „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა“, გარემოებები, როდესაც სექსუალური ურთიერთობა ადამიანთან მიმღებ ქვეყანაში „ექსპლოატაციური“ ხასიათისაა, და იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობა, ვინც მისიაში ყოფნის პერიოდში აორსულებს სხვას ან თვითონ ორსულდება. ტრენინგი ასევე უნდა მოიცავდეს სექსუალური ექსპლოატაციის და ძალადობის შემთხვევების შეტყობინების და (სამხედრო რანგის შესაბამისად) გამოძიების და რეაგირების, ასევე პერიოდული და სისტემატური მონიტორინგის პროცედურებს. ერთიანი ტრენინგი ყველა სახელმწიფოსთვის ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობისმყოფელთა მხრიდან ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის ქალებთან და გოგონებთან, ურთიერთობაში არსებული განსხვავებების აღმოფხვრას.

დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მშვიდობისმყოფელებისთვის ისეთი ტრენინგის ჩამოყალიბების და ჩატარების საქმეში, რომელიც მოიცავს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციებში დასმულ საკითხებს. ასევე ნატო-მ გამოთქვა მზადყოფნა, გაითვალისწინოს ქალთა საჭიროებები და გენდერული საკითხები საგანმანათლებლო და ტრენინგის პროგრამებში ყველა დონეზე.⁵¹ აღნიშნული ინიციატივები მისასაღმებელია, თუმცა დასავლეთის ქვეყნებს შედარებით მცირე კონტინგენტი ჰყავთ მივლინებული სამშვიდობო მისიებში.

გაეროს სამშვიდობო მისიების უმეტესობა მოდის განვითარებადი ქვეყნებიდან (კერძოდ, ბანგლადეშიდან, ინდოეთიდან და პაკისტანიდან), სადაც ზოგადად ნაკლებად ან საერთოდ არ ტარდება სისტემატური ტრენინგი გენდერულ საკითხებზე. თუმცა არსებობს მშვიდობისმყოფელთა ტრენინგში გენდერული ასპექტების გათვალისწინების გარკვეული პოზიტიური მაგალითები:

- ბანგლადეშის მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციების ინსტიტუტის ტრენინგები მოიცავს (ახლა უკვე განახლებულ) გაეროს სტანდარტულ ზოგად ტრენინგის მოდულს გენდერულ საკითხებზე სამშვიდობო მისიებში.⁵²

- სამხრეთ აფრიკის მშვიდობის მისიის ტრენინგის ცენტრი ყოველწლიურად ატარებს ორკვირიან კურსს თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის და სხვა წამყვანი სამხედრო პერსონალისთვის, რათა სამშვიდობო მისიებში ისინი გახდნენ სამხედრო და სამოქალაქო (გადანყვეტილებათა მიძღვნილი) პირების მრჩეველები გენდერულ საკითხებში.⁵³
- სამშვიდობო ოპერაციების ტრენინგის დამოუკიდებელი ინსტიტუტი უზრუნველყოფს უფასო ელექტრონულ (ონლაინ) სწავლებას მშვიდობისმყოფელებისთვის აფრიკიდან, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან და ლათინური ამერიკიდან. მათ შორისაა კურსი *გენდერული პერსპექტივები გაეროს მშვიდობისმყოფელთა ოპერაციებში*. 15 000-ზე მეტმა მშვიდობისმყოფელმა და პოტენციურმა მშვიდობისმყოფელმა აფრიკის ქვეყნებიდან, ბანგლადეშიდან და პაკისტანიდან გაიარა აღნიშნული კურსი. 2010 წლის მარტში სამშვიდობო ოპერაციების ტრენინგის დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა გამოუშვა ახალი კურსი *ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული უთანასწორობის პრევენცია სამშვიდობო მისიებში*.⁵⁴
- პირსონის სამშვიდობო ცენტრმა შეიმუშავა ორკვირიანი ტრენინგის კურსი გენდერულ ძალადობაზე საერთაშორისო პოლიციის ოფიცრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ აფრიკის კავშირის/გაეროს მისიებში დარპურში. მომავალში მოხდება ამ კურსის ადაპტირება სხვა სამშვიდობო მისიებისთვის.⁵⁵

ქვეყნების მიერ მიღებული გამოცდილება სამხედრო და პოლიციის პერსონალის ტრენინგებთან მიმართებაში სამშვიდობო მისიებში გაგზავნამდე შემდეგში მდგომარეობს:

- აუცილებელია საჭარისო და პოლიციის ძალების გრძელვადიანი მომზადება სამშვიდობო მისიებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი კომპეტენციის, შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბება. ხშირად მისიაში გაგზავნამდე არსებული დრო საკმაოდ მოკლეა, რაც არ იძლევა მათი შესაბამისად მომზადების შესაძლებლობას. გენდერული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს პოლიციისა და სამხედრო განათლების მთლიან სისტემაში.
- ტრენინგი უნდა დაიწყოს პრაქტიკული საკითხებით, როგორცაა „როგორ“ უნდა განხორციელდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, და არა ნორმატიული და თეორიული საკითხებით გენდერზე.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სპეციფიკური ტრენინგი სამშვიდობო მისიებისთვის და მათი გარკვევა ადგილობრივ სპეციფიკაში. განხილული უნდა იქნეს ადგილობრივი გენდერული დინამიკა, რომელმაც უნდა მოიცვას სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების გზები.
- სექსუალური ტიპის თავდასხმაზე რეაგირება უნდა იყოს სამშვიდობო მისიის სავარჯიშოების და სიტუაციური ტრენინგის ნაწილი.
- სამშვიდობო მისიების ტრენინგში გამოყენებული უნდა იქნეს ადგილობრივად არსებული გამოცდილება, მაგალითად, ქალთა/გენდერული საკითხების სამინისტროებისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება.
- სამშვიდობო მისიის დროს და მის შემდეგ ტრენინგის გავლენის სისტემატური შეფასება, რაშიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მიმღები ქვეყნის ქალთა ორგანიზაციები.⁵⁶

იხ. სახელმძღვანელო ტრენინგი გენდერის საკითხებზე უსაფრთხოების სექტორის პერსონალისთვის.

სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენცია და პასუხისმგებლობა

ბოლო წლებში გაეროს ხშირად აკრიტიკებენ მისი სამშვიდობო პერსონალის გამო - ამ პერსონალს ბრალს სდებენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობასა და სექსუალურ ექსპლოატაციაში. გაეროს ასეთი ფაქტების მიმართ ნულთანაირი ტოლერანტობის მკაფიო პოლიტიკა გააჩნია, მაგრამ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ წვერი სახელმწიფოებისგანაც მოითხოვს პრევენციულ მოქმედებას და ისეთი ზომების მიღებას, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობას სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისათვის.

იხ. რეზოლუცია № 1820, მუხლი 7; რეზოლუცია №1888 მუხლი 21

ქვეყის კოდექსი: სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენცია მოითხოვს, ტრენინგთან ერთად, მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, სადაც განიმარტება, თუ რა ქვეყანა აკრძალული და ნათლად აღიწერება ჩივილის, გამოძიების და დისციპლინური პროცედურები. პირველი ნაბიჯი, რომელიც ქვეყნებმა სამშვიდობო მისიებში ჯარების და/ან პოლიციის გაგზავნისას უნდა გადაადგან, არის იმის უზრუნველყოფა, რომ საავალდებულო ჩაითვალოს სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენციის შესახებ გაეროს სტანდარტების დაცვა; ეს შეიძლება განხორციელდეს ამ სტანდარტების ბრძანების სახით ჩამოყალიბებით ან მათი შეტანით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში⁵⁷. ასევე, აღნიშნული სტანდარტები უნდა ითარგმნოს სამშვიდობო პერსონალის მშობლიურ ენებზე.

სახელმწიფო დონეზე ქვეყის ამგვარი კოდექსის შემუშავება, განხორციელება, მისთვის კანონის ძალის მინიჭება და ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს სამშვიდობო პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლებას სექსუალური ძალადობის მიმართ. სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის დაუშვებლობის მკაფიოდ აღნიშვნა ქვეყის სახელმწიფო კოდექსში შესაძლოა გახდეს სამხედრო და პოლიციის პერსონალის განათლებისა და ტრენინგის საფუძველი და დაეხმაროს მათ მეთაურებს, შეაჩერონ ასეთი ძალადობა.

პასუხისმგებლობა სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის მიმართ: სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენცია და მათ მიმართ პასუხისმგებლობა მოითხოვს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის ფარგლებში სამხედრო ძალების მეთაურებს და პოლიციის მაღალი თანამდებობის პირებს შეეძლებათ თავიდან აიცილონ, ამოიციონ და შეაჩერონ ასეთი ქვეყა და დასაჯონ ამ ქვეყის ჩამდენი. საჭიროა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რათა სამხედრო ძალებსა და პოლიციის კონტინგენტში აღმოიფხვრას სექსუალური ძალადობის მიმართ დაუსჯელობის კულტურის ნებისმიერი გამოვლინება.

ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თუ მათი სამშვიდობო პერსონალის რომელიმე წევრი ჩაიდენს სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის ფაქტს, მას დაეკისროს პასუხისმგებლობა სამხედრო და/ან სისხლის სამართლის შესაბამის ეროვნულ სისტემაში. მთელი რიგი ქვეყნები მოქმედებენ ამ პრინციპის შესაბამისად და სჯიან მოძალადეებს - სამხედრო ძალებიდან მათი დათხოვნით, თავისუფლებას ალკვეთით და/ან სამხედრო წოდების ჩამორთმევით. მაგალითად, საფრანგეთში დააპატიმრეს ერთ-ერთი მშვიდობისმყოფელი, რომელიც სქესობრივ კავშირს ამყარებდა ბავშვებთან და ამას ფირზე იღებდა, ხოლო სხვა ქვეყნებში - მაროკოში, ნეპალში, პაკისტანში, სამხრეთ აფრიკასა და

ტუნისში - დისციპლინური სასჯელი დააკისრეს ზოგიერთი მშვიდობისმყოფელს.⁵⁸

ქვეყნები, რომლებიც აგზავნიან სამხედრო და/ან პოლიციის კონტინგენტს, ვალდებული არიან გაეროს წინაშე, უზრუნველყონ ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვა საკუთარი სამშვიდობო ძალების მხრიდან; უზრუნველყონ სასამართლო საქმეების აღძვრა იმ შემთხვევაში, თუ გაეროს გამოძიება დაადგენს, რომ არსებობს სექსუალური ექსპლოატაციის ან ძალადობის ფაქტის დასაბუთებული ბრალდება. თუმცა მტკიცებულებათა შეგროვების და მონმეების გამოძახების/დაკითხვის პრაქტიკული სირთულეები ხელს უშლის ქვეყნების მთავრობებს ასეთი საქმეების სასამართლომდე მიყვანაში. ამიტომ რეკომენდებულია, რომ კონტინგენტის გამოგზავნა სახელმწიფომ გამართოს სამხედრო ტრიბუნალი იმ ქვეყანაში, სადაც ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.⁵⁹

სექსუალური ძალადობის მიმართ სამშვიდობოების პასუხისმგებლობის დემონსტრირება ძალიან მნიშვნელოვანია მისიისადმი ნდობის მოპოვების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, არსებითაა მისიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. სამშვიდობო პერსონალის რეპატრიაცია, ჩვეულებრივ, ყველაზე ხშირად გამოიყენება დისციპლინური ზომის სახით ქვეყნის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში. თუ რეპატრიაციის მიზნები არ არის სათანადოდ განმარტებული, ეს ხშირად აღიქმება, როგორც მოძალადის უბრალო „მოცილება“ ყოველგვარი შემდგომი რეაგირების გარეშე. მისიებმა მასპინძელ საზოგადოებას უნდა მიანოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის ბრალდებების გამოძიება, თუმცა არ უნდა გაამჟღავნონ მსხვერპლისა და მონმეების ვინაობა, და გააცნონ გამოძიების შედეგები მსხვერპლსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. შესაძლოა მართებული იყოს, რომ მისიის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას საჭაროდ აუწყოს, რომ დამნაშავე პირს/პირებს დაატოვებინეს მისია და რომ მას/მათ დაეკისრებათ სასჯელი. ამით საზოგადოება შეიტყობს, რომ სათანადო ზომები მიღებულია.

მისიებში უფრო მეტი ქალის ჩართვის მექანიზმები

რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ აღიარებს, რომ ქალი მშვიდობისმყოფელები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საქმეში, რაც ქალებისა და ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციასაც გულისხმობს. სამშვიდობო კონტინგენტი, რომლის შემადგენლობაში არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები:

- უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან;
- უკეთ არის აღჭურვილი სხვადასხვა მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად, როგორცაა სახლების ჩხრეკა, ადამიანების ჩხრეკა, ციხეებში მუშაობა, მსხვერპლის/მონმეების ესკორტი და მეომრების შემონმევა განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის ადგილებში;
- მას უკეთ შეუძლია დაამყაროს კონტაქტი მოწყვლად ჯგუფებთან და

ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

- მას უფრო ადვილად შეუძლია დაეხმაროს კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ მამრობითი სქესის პერსონალთან საუბრისას;
- მას ნაკლებად ექმნება პრობლემები სექსუალურ ექსპლოატაციისა და ძალადობასთან დაკავშირებით;
- ხელს უწყობს ადგილობრივი ქალების და მათი ორგანიზაციების მონაწილეობას პოსტკონფლიქტურ პოლიტიკურ პროცესებში.⁶⁰

სპეციალური ტრენინგის გავლის შემდეგ ქალ მშვიდობისმყოფელებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ სექსუალური ძალადობის პრევენციის საქმეში.

რეზოლუციები ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ მოუწოდებს ქვეყნებს, ჩართონ მეტი რაოდენობის ქალები გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში, სამხედრო და პოლიციურ მისიებში:

იხ: რეზოლუცია №1820, მუხლი 8; რეზოლუცია №1888, მუხლი 19

გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი რამდენიმე წლის განმავლობაში აცხადებს, რომ სამშვიდობო პოლიციური და სამხედრო პერსონალის სულ მცირე 10%-ს ქალები უნდა შეადგენდნენ. თუმცა 2010 წლის ივნისის მდგომარეობით, გაეროს სამშვიდობო, სამხედრო ფუნქციის მქონე, პერსონალის მხოლოდ 2.35%-ია ქალი. 2009 წელს გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტმა წამოიწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს, რომ 2014 წლისათვის პოლიციის ოფიცერი ქალების რიცხვმა სამშვიდობო ძალებში 8-20%-ს მიაღწიოს.⁶¹

ქვეყნებს შემდეგნაირად შეუძლიათ გაზარდონ სამშვიდობო ოპერაციებში ქალების სამუშაოდ აყვანა და ჩართვა:

- შესაბამის 1325 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მიზნად დასახონ უფრო მეტი ქალის სამუშაოდ აყვანა;
- ჩამოაყალიბონ მხოლოდ ქალებით დაკომპლექტებული სამხედრო და პოლიციური ნაწილები საველე პირობებში გასაგზავნად, გამოიყენონ რა მაგალითად ინდოეთის მიერ ფორმირებული პოლიციური ნაწილი, რომელიც 2007 წელს გაიგზავნა ლიბერიაში;
- შეიმუშაონ სახელმწიფო პოლიტიკა ქალების სამუშაოდ აყვანის და მისიებში მათი ჩართვის თაობაზე, რაც მოიცავს რაოდენობრივ სამიზნეებს (მაგალითად, ქალების რაოდენობის მინიმალური პროცენტი ყველა ფორმირებულ ნაწილში, რომელიც ჩართულია სამშვიდობო ოპერაციებში). მაგალითად, ზამბიის პოლიციის სამსახური მიზნად ისახავს, გაეროს მისიებში ქალი პოლიციელი იფიცრების რიცხვი გაზარდოს 30%-მდე; 2009 ოქტომბრის მდგომარეობით ეს რიცხვი 12%-ს შეადგენდა;
- გახსნან სპეციალური განყოფილებები სამხედრო და პოლიციის ოფისებში, რომლებსაც დავალება ქალების სამუშაოდ აყვანისა და მისიებში ჩართვის პროცესის წარმართვა;
- წარადგინონ ქალები სამშვიდობო მისიების მაღალ სამოქალაქო თანამდებობებზე, მაგალითად, გაეროს გენერალური მდივნის, ევროკავშირისა და სხვა რეგიონული სტრუქტურების სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობებზე, ასევე გაგზავნონ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის შტაბბინაში;
- შეიმუშაონ ეროვნული საზოგადოებრივი საინფორმაციო სტრატეგიები, რომლებიც წახალისებს ქალების სამუშაოდ აყვანას პოლიციასა და სამხედრო ძალებში და მათ გაგზავნას სამშვიდობო მისიებში;
- გადასინჯონ საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ამოიღონ ისეთი პუნქტები, რომლებიც დისკრიმინაციულია ქალების მიმართ;
- სამხედრო ძალებსა და პოლიციის სამსახურებში გადანიშნონ გენდერული დისკრიმინაციის პრობლემა, მაგალითად, გენდერული პოლიტიკის, ქალთა გაძლიერების პროგრამებისა და გენდერული საკითხების განსაკუთრებული ყურადღების მინიჭების მეშვეობით.

იხ. სახელმძღვანელო გენდერისა და პოლიციის რეფორმის შესახებ.

- უზრუნველყონ დამატებითი ტრენინგი ქალებისთვის, რაც დაეხმარება მათ, დააკმაყოფილონ საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, ქალმა პოლიციელებმა ნამიბიიდან, ტანზანიიდან და ზამბიიდან სამშვიდობო მისიებში ქალების გაგზავნის ერთ-ერთ მთავარ ხელის შემშლელ მიზეზად დაასახელეს მანქანის მართვის უნარ-ჩვევების ნაკლებობა (გაეროს მოთხოვნაა მექანიკური გადართვის მქონე ავტომობილის 4x4 მართვა). ეს ხელის შემშლელი მიზეზი განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ ქალებს და მამაკაცებს, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გამო, ხშირად არ აქვთ ერთნაირი შესაძლებლობები. ტანზანიის პოლიციის სამსახური გეგმავს სპეციალურ კურსს მხოლოდ ქალებისათვის, მისიისათვის შერჩევის წინა ეტაპზე, რომელიც მიზნად ისახავს მათი უნარ-ჩვევების განვითარებას (ენის ფლობა, სროლის და მანქანის მართვის უნარ-ჩვევები). ეს დაეხმარება ქალებს, წარმატებით გაიარონ შერჩევითი ტესტირება. იხილება ასევე საკითხი, რომ ქალებს აუნაზღაურონ მანქანის მართვის დამატებითი გაკვეთილების საფასური, თუკი ისინი ასეთ გაკვეთილებს ესწრებიან საკუთარი ხარჯით;
- ჩაატარონ სპეციალური კვლევა, რომელიც შეისწავლის ქალთა სამუშაოდ აყვანას, სამუშაო ადგილებზე მათ შენარჩუნებას და მისიებში მათ გაგზავნას, და ამ კვლევის შედეგები აცნობონ ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ უწყებებს.⁶²

4.7 შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული ქვეყნები

როგორც მოსალოდნელია, ოთხი რეზოლუცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებს. უშიშროების საბჭო მკვეთრ მითითებებს აკეთებს შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართული მხარეების საყურადღებოდ. კერძოდ:

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალებისა და გოგონების უფლებების დამცველი საერთაშორისო სამართლის პატივისცემა, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სექსუალური ძალადობის ნებისმიერი აქტის დაუყოვნებლივ და სრულად შეწყვეტა;
- მიღებული უნდა იქნეს სპეციალური ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების, დასაცავად როგორც სექსუალური, ისე სხვა სახის ძალადობისაგან.

ქალების და გოგონების უფლებებსა და მათ დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის სრული პატივისცემის უზრუნველყოფა

„კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალი ამჟამად უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას, ვიდრე ჯარისკაცი“

გენერალ-მაიორი პატრიკ კამერტი, სარდლის ყოფილი მოადგილე⁶³

იხ: რეზოლუცია N°1325, მუხლი 9; რეზოლუცია N°1820, მუხლი 2; რეზოლუცია N°1888, მუხლი 2; რეზოლუცია N°1889, მუხლები 2 და 3

